ეროვნულ-კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 8 13 ივლისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: დეპუტატებს უმასპინძლდებიან. —ნაცია ისტორიის გზაზე, **ონ—ისა.** —სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში, რუსეთში და უცხოეთში.—ბრძოლა არსებობისათვის და მარქსიზმი, **მანწილის.**—მგოსანს (ლექსი), **ბაბ.—ის.**—სპარსეთის ტრაგედია, **შამსი-ბეის.** საუბარი მკითხველთან, **ვ. ევაშვილის.**—საზოგადო განათლების კურსები სოფლის მასწავლებელთათვის, **ვ. ობჩელის.**—მასწავლებელი (მოთხრობა), **ს. პართენაშვილისა.**—რედაქციისგან.

დეპუტატებს უმასპინძლდებიან.

„ბედნიერი“ სახელმწიფო დუმა დაიშალა საზაფხულოთ და დეპუტატებიც თავ-თავის სახლებში წავიდ-წამოვიდენ, თავ-თავის საარჩევნო ოლქებს დაუბრუნდენ. ნეტა რას მოუტანენ, რა პირით შეხედავენ გაწამებულ ხალხს, რას ეტყვიან, რა პასუხს გასცემენ დეპუტატები თავიანთ ამომრჩევლებს, რომელთაც კიდევ უბეუტავდათ იმედი, ბნელ ფონზე თეთრ იალქნებიან ხომალდივით ამოყუდებული სახელმწიფო დუმისადმი? ამას კითხულობდენ ყოველ მხრიდან, ამაზე უფრო და უფრო დაჟინებით ლაპარაკობდენ—იმის დაკვალათ, როგორც კი პირველი სესია, იმ თავიდანვე აღებულ კურსით, უახლოვდებოდა დასასრულს. სესია გათავდა და ჟურნალ-გაზეთობა ჯერაც კიდევ დრტვინავს იმავე საკითხის გამო. რუსეთის პროგრესიულ პრესამ უმალვე აღნიშნა დეპუტატების „უპირატესი“ მდგომარეობა; სახელდობრ ის, რომ იგინი—უკიდურეს მემარჯვენეთა გამოკლებით—პირდაპირ ხალხისაგან ვერ გაიგონებენ ვერც გაკიცხვას და ვერც ქებას,—რასაკვირველია, მზრუნველ ადმინისტრაციის მეოხებით: შეწყნარებული არ იქნებოდა არავითარი საჯარო კრებები და მიტინგები, სადაც დეპუტატები შეიძლებდენ თავისი მოქმედების ანგარიში წარედგინათ ამრჩევლებისათვის და სათანადო მსჯავრი მოესმინათ ამ უკანასკნელთაგან...

ჩვენში, სესიის გათავებისათანავე, შესამჩნევათ გაცხოველდა დეპუტატთა მოქმედების კრიტიკულათ განხილვა და დაფასება. ამ საქმეს უფრო მეტის გულ-მოდგინებით მიეცნენ ჩვენი „პატრიოტული“ პრესა და „ბრწყინვალე“ საზოგადოება. ნოხდა საჯარო კრებაც, სადაც გაკრიტიკებული და გაკიცხულ იქმნა არა მარტო ესა თუ ის ჩვენი დეპუტატი, არამედ ყველა ჩვენი დეპუტატები და, რაც უფრო საინტერესოა, ყველა, სამივე სახელმწიფო დუმის დეპუტატები. პირველ და მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატების მოქმედების დღეს განხილვა-დაფასება ცოტა არ იყოს დაგვიანებულია, მარა ეს მაინც კარგია, რადგან მაჩვენებელია იმისი, თუ რაოდენის ყურადღებით და სიდარბაისლით ვექცევით ჩვენ დეპუტატების მოქმედებას. ხოლო უფრო კიდევ კარგია და სანუგეშოა თვითონ კრიტიკა ამ მოქმედებისა. კრიტიკა და თუნდა გაკიცხვაც თავის და თავად, რასაკვირველია არავისათვის, არც ერთი პარტიისათვის არ უნდა იყოს საწყენი. თვითონ სოც.-დემოკრატიასაც თავის დეპუტატები არ მიაჩნია სრულ და უნაკლულო ადამიანე-

ბათ. ნაკლულევანებასთან ერთად, მათ თავიანთ მოქმედებაში, უეჭველია მოეპოვებათ შეცდომებიც. ამიტომ და კიდევ იმ მოსაზრებით, რომ დეპუტატებს—თუნდაც ესენი სულ გოლიათები იყვენ სიტყვისა და საქმისა—არ შეიძლება ერთიანათ მინაბრებული ჰქონდეს საქვეყნო საქმეები, რომ თვითონ ხალხი უნდა იყოს ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში და მით იგი თვითონვე უნდა ჭედავდეს თავის საკუთარ ბედ-იღბალს; აი ამიტომ საჭირო არის დეპუტატების ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს ფრთხილათ სდარაჯობდენ ამრჩეველნი, საჭირო არის ესენი მთელ მათ მოქმედებას მიუფერებელ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდენ და შესაფერ მსჯავრს სდებდენ. ამიტომ ჩვენთვის სასიამოვნოა, როდესაც პრესაში თუ საჯარო კრებაზე კრიტიკის საგნათ ხდება დეპუტატების მოქმედება.

მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკაც. ჩვენში თურმე დეპუტატებს აკრიტიკებენ მხოლოთ იმ მიზნით და იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა მათ გასაკიცხათ... მერე იცით რისთვისა ჰკიცხავენ ჩვენს დეპუტატებს? მხოლოთ იმისთვის, რომ ისენი ეკუთვნიან ცნობილ პოლიტიკურ პარტიას. გადაჭარბებაში რომ არავინ ჩამოგვართვას, ვიტყვით იმავ სიტყვებით, როგორც სწერენ და ლაპარაკობენ ხსენებულ პრესაში და საზოგადო კრებაზე. დეპუტატებს ჰკიცხავენ იმისთვის, რომ იგინი არ არიან ჩვენი სამშობლოს ქომაგნი და მოსარჩლენი, რომ იგინი არ იცავენ ჩვენი ხალხის ნამდვილ ინტერესებს, და რომ იგინი არ გამოხატავენ მის ნამდვილ სურვილსა და ნებას... საგულისხმო ის არის, რომ ასე დრტვინავენ ჩვენი საზოგადოების სწორეთ ის ელემენტები, რომელნიც აშკარა მატარებელნი არიან ჩვენ ნაციონალურ გადაგვარება-გათახსირებისა და ეს იმდენათ, რომ იგინი თავის საჯარო კრებაზე თურმე ქართულათაც აღარ ლაპარაკობენ, თუმცა ამის სრული უფლება მათ მინიჭებული აქვთ...

საგულისხმოა საქმის კიდევ მეორე მხარე, რომელიც ეხება ათვალწუნებულ დეპუტატების თავიდან მოშორებას. კონსტიტუციონურ ქვეყნებში ჭეშმარიტი კონსტიტუციონალისტები ცდილობენ ხელ-ახალ არჩევნებზე გააშავონ იმ დეპუტატთა კანდიდატურა, ვისგანაც ისინი პარლამენტში მოტყუებულნი დარჩენ. ჩვენში, რასაკვირველია, სხვა გვარათ ირჯებიან. ერთი რომ საარჩევნო კამპანია კარგა ხანს დაიგვიანებს, რადგან დეპუტატები არჩეულნი არიან 5 წლის ვადით, და მეორეც ვინ იქნება თავდები, რომ კვლავ ისინი, ათვალწუნებულნი, არ იქნებიან არჩეულნი? აი ამიტომ ჩვენებური „კონსტიტუციონალისტი“ ბატონები ითხოვენ თვით საარჩევნო კანონის შეცვლას იმ გვარათ, რომ გამარჯვება მათთვის უზრუნველ-ყოფილი იქმნას. და რაკი ნიშანში ამოღებული დეპუტატები არჩეული არიან უმთავრესათ ღარიბ, მშრომელი ხალხისაგან, თავის-თავათ ცხადია, რომ მათთვის საარჩევნო კანონის შეცვლა უნდა მოასწავებდეს... „ვ ივნისის“ განმეორებას...

ამ რიგათ, ჩვენი ქვეყნის გაბიაბროება, ჩვენი ხალხის უფლებების გათელვა და მიწასთან გასწორება,—ეს რა გამოაქვთ ამ ვაჟ-ბატონებს სამშობლო ქვეყნის საკეთილ სახურათ!.. O tempora! ô mores!..

III. ნაცია ისტორიის გზაზე.

3.

ა. სოციალიზმის ხანაში.

რაკი საზოგადოებრივი ცხოვრება აღწევს იმ ეტაპარებას, როცა კლასების არსებობა ველარ თავსდება, ველარ ეგუება ნაციის განვითარებას და პირიქით აქ ჩნდება ინტერესთა პირდაპირი შეურიგებელი წინააღმდეგობა, მაშინ, ცხადია, უნდა მოხდეს ორში ერთი. ან ნაციის განვითარება უნდა შეჩერდეს, გაიყინოს ერთ წერტილზე სამარადისოთ და მით უზრუნველ ყოფილ იქმნას არსებობა კლასებისა, კლასურ საზოგადოებრივ წეს-წყობილებისა, ანუ ეს უკანასკნელი უნდა მოისპოს და მით გზა გაეხსნას ნაციის შემდეგ განვითარებას. ამ ორში რომელს აირჩევს ისტორია, ეს, რასაკვირველია, არ არის დამოკიდებული ადამიანების თავისუფალ სურვილ-ნებაზე. საზოგადოებრივ განვითარების მამოძრავებელ ძალთა შორის, მართალია, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ ადამიანების სურვილებსა და მისწრაფებათ, მაგრამ ესენი თავის როლს თამაშობენ მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც არ აწინააღმდეგებიან თვით საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას. ეს უკანასკნელი ემორჩილება თავის საკუთარ კანონებს. ამ კანონების შესწავლა, საზოგადოებრივი მეცნიერება გვიმხელს იმ საიდუმლოებას, თუ როგორ გადაწყდება ზემოხსენებული არჩევანი. ეს იქნება ნაციის სასარგებლოთ და კლასების არსებობის წინააღმდეგ, თუნდ მხოლოთ იმიტომ, რომ ისტორიამ არ იცის ერთ ადგილზე გაყინვა, იგი მუდმივი, შეუჩერებელი მსვლელობაა. იყო დრო, როცა ადამიანთა საზოგადოებაში ადგილი არა ჰქონია არავითარ უთანასწორობას, არავითარ კლასებს; მოვა დრო, როცა უთანასწორობა—კლასები აღარ იქნება. თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების მეცნიერული შესწავლა (მარქსისტული სკოლა სოციოლოგიაში) გვარწმუნებს, რომ კაპიტალიზმში არის უკანასკნელი ფორმა კლასობრივ საზოგადოებისა და რომ მას ბუნებრივის აუცილებლობით უნდა მოჰყვეს სოციალიზმი, ე. ი. შრომისა და წარმოების ყველა იარაღები და საშუალებანი გახდება ყველას, მთელ საზოგადოების კუთვნილებათ. იშრომებენ ყველანი ძმურათ; ნაშრომ-ნაწარმოებითაც ისარგებლებენ ყველანი ძმურათ, თანასწორათ.

ამ რიგათ მოისპობა ის, რაც დღეს წინ ეღობება ნაციის განვითარებას. მთელი ნაციონალური კულტურა ყველა ადამიანების საერთო სამფლობელო გახდება; მაგრამ აქ იბადება ერთი საკითხი.

წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ, რომ სულიერ კულტურით სარგებლობისათვის და ამ კულტურის ზრდა-

განვითარებისათვის, აუცილებლათ საჭირო არის ადამიანს საკმაო თავისუფალი დრო მოეპოებოდეს. ისტორიულათ, სულიერ კულტურას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა სწორეთ იმ ხნიდან, როცა საზოგადოებაში გაჩნდა უოიანასწორობა, ძარცვა-ყვლეფა, გაჩნდა წოდებანი, კლასები, ერთი სიტყვით, გაჩნდა მონობა-მჩაგვრელობა; საზოგადოების ერთი ნაწილის (დაჩაგრულების) მხოლოთ უზომო შრომა აძლევდა მეორე (გაბატონებულთა) ნაწილს საშუალებას საჭირო თავისუფალ დროს გონების ვარჯიშობისა და სულიერ განვითარებისათვის. ეხლა, თუ კი სოციალისტური წეს-წყობილება ისე ჩაბავდა ყველა ადამიანებს ფიზიკურ შრომაში, რომ მათ აღარ დაუტოვებდა ამ საჭირო თავისუფალ დროს სულიერ მოთხოვნილებისათვის, მაშინ, ცხადია, დიდ საფრთხეში ჩავარდებოდა ნაციონალური კულტურა და თვით ნაციის არსებობაც. მაგრამ ნამდვილათ როგორ არის საქმე ამ მხრივ?

თვით კაპიტალისტურმა ხანამ უკვე იმდენათ განავითარა საწარმოვო ძალები, რომ არავითარი ამ გვარი საფრთხე აღარ არსებობს. სოციალისტური წეს-წყობილება კი არამც თუ ძირს არ დასწევს ამ ძალებს და არ შეამცირებს შრომის ნაყოფიერებას, პირიქით, უფრო მეტათ განავითარებს და შეუდარებლათ უფრო მაღლა ასწევს მას. გაკვრით დავასახელოთ ამის საბუთები. დღეს ახალი გაუმჯობესებული მანქანა შემოდის ხმარებაში, როცა ეს ხელსაყრელია კაპიტალისტების კერძო ინტერესებისთვის,—მაშასადამე როცა იგი მეტ სამუშაო ხელფასს დააზოგვინებს მესაკუთრეთ. ამიტომ რამდენადაც დაბეჩავებულნი არიან მუშები, რამდენათაც დაბალია მათი ხელფასი, იმდენათ უფრო გაძნელებულია ტეხნიკური პროგრესი. სოციალიზმის დროს ახალი მანქანა შემოღებულ იქნება ყოველთვის, როცა კი ეს სასარგებლო დარჩება საზოგადოებისათვის, ე. ი. როცა კი ის უფრო მეტ საზოგადოებრივ შრომას დაზოგავს, ვიდრე საჭირო იქნება მის გასაკეთებლათ. მაშინ თვით შრომის განაწილება, როგორც ცალკე ქვეყნებში, ისე სხვა და სხვა ქვეყნებ შორის რაციონალური (გონივრული) იქნება. საერთაშორისო აღებ-მიცემობა იწარმოებს იმავ საზოგადოებრივ შრომის დაზოგვის თვალსაზრისით. უცხოეთს მიაწვდიან ისეთ ნაწარმოებთ, რაც შინ, ადგილობრივ ნიადაგისა თუ სხვა ბუნებრივ პირობების მიხედვით, უფრო ნაკლებ შრომას იხთოვს, ვინემ იქ, უცხოეთში, და აქედან კი შემოიტანენ ისეთ ნაწარმოებთ რაც შინ, იმავ პირობების გამო, უფრო მეტ შრომას მოითხოვდა. დღევანდელ წეს-წყობილებაში კი ეს აღებ-მიცემობა უკულმაც ხდება. მაგ. მიუხედავათ იმისა, რომ ბელგიაში ვაზი არა ხარობს, იქ მაინც მთელი ვენახებია გადაჭიმული შუშებ ქვეშ; ხელოვნურ ტემპერატურით მოჰყავთ დიდძალი ყურძენი, რაც იგზავნება არა მარტო ლონდონსა და პეტერბურგში, არამედ აგრეთვე ისეთ ქვეყანაშიაც (საფრანგეთი), რომლის ბუნება ვენახებისათვის ერთობ მდიდარია. კაპიტალისტები მზათ არიან ზედ-მეტი საზოგადოებრივი შრომა გაფლანგონ, ოღონდ კი წარმოებას თავისთვის რაიმე მოგება ამოაღებინონ.

დღეს აუარებელი სიმდიდრე-საქონელი ძალიან ხშირათ დაფოლებულია ანუ სრულიად ფუჭდება და ლპება ბაზრის მუშტრის უქონლობის გამო, რაც თავისთავათ გასაგებია და მასთან აუცილებელი, რადგან დღევანდელი, „კაპიტალისტური წარმოება ანარქიულია, ე. ი. უპლანო, უსისტემო, ნაწარმოები მზადდება უცნობ მომხმარებელთათვის, მოთხოვნილების რაოდენობა არ არის —და დღეს არც შეიძლება იყოს—წინდაწინვე განსაზღვრული. დღეს დიდძალი ქონება იღუპება კიდევ სხვა მხრივაც. დღევანდელ პირობებში ადამიანები მრავლათ იხოცებიან სრულიად უდროოთ. ყოველ წლობით ათასობით იხოცება 1—2 წლის ბავშვები და ამ რიგათ ამაოთ იღუპება მათზე დახარჯული შრომაც. ამასთანავე მრავლათ იკვებებიან ისეთები, რომელნიც არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენენ საზოგადოებისათვის; ე. ი. არიან პარაზიტები, მუქთა-მჭამლები. გარდა ამისა, წარმოებისათვის დაკარგულნი რჩებიან არა მარტო გაბატონებულ კლასის ადამიანები, არამედ აგრეთვე მუშა ხალხის საგრძნობელი ნაწილიც. კაზარმებში მრავლათ არიან შემწყვდეულნი ჯან-ღონით სავსე ახალ-გაზდები. მეორე მხრივ, ასე წოდებული, შრომის სათადარიგო ჯარი, უმუშევართა ლაშქარი მუდამ დაძრწის ბედის ანაბარა უკულმართ კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

როდესაც ყველა ეს უკულმართობანი თავიდან აცილებულ იქმნება, ამით, ეჭვს გარეშეა, საწარმოვო ძალები დიდათ გაიზრდება, შრომის ნაყოფიერება მიაღწევს ისეთ სიმაღლეს, რომელიც დღევანდელ საზოგადოებას არც კი მოსიზმრებია. სწავლულნი ანგარიშობენ, უტყუარ ციფრებით ამტკიცებენ, რომ სოციალიზმის პირველ ხანებშივე ადამიანისათვის საკმაო იქნება რაღაც ორიოდე საათი ფიზიკური შრომა, რათა ყველა მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უზრუნველ ყოფილი გახდეს. ეს ორი პირობა კი—საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და თავისუფალი დრო,—როგორც ვიცით, უსაჭიროესი და აუცილებელი საფუძველია ყოველივე სულიერ კულტურისა. ამიტომაც ნაციონალური კულტურა სავსებით და თანაბრათ ხელ-მისაწდომი გახდება ყველა ადამიანისათვის მხოლოთ სოციალიზმის დროს. ეს უკანასკნელი კიდევ სხვა მხრივაც გამოიწვევს უდიდეს ცვლილებას ნაციის არსებაში.

დასაბამიდან დღევანდლამდე საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობა სწარმოებს არა ადამიანთა სურვილებისა და მისწრაფებათა მიხედვით, არამედ თანახმათ განსაზღვრულ სოციალურ კანონებისა, რომელნიც მოქმედებენ თვით საზოგადოებრივ ცხოვრების მწარმოებელ ადამიანთა ზურგს უკან, მათ სურვილებისა და ცნობიერების გარეშე. ავიღოთ მაგალითი რომელიმე „ლეხს ძალიან არ ეთმობა თავის სამშობლო სოფელი, მაგრამ ის მაინც სტოვებს მას, ხშირათ მიდის რამდენიმე ასი და ათასი ვერსტის მანძილზე, რომელიმე ქალაქში, სა-

დაც მას სამუშაო ეგულება. ანუ ვინმე ილაჯ გაწყვეტილი თავადი თუ აზნაური მემამულე იძულებული ხდება დასთმოს (გაყიდოს) თავისი სანუკარი მამულ-დედული, რომელზედაც მერე, შეიძლება, შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული რუსებიც დაბინავდენ. ძველი პატრონი კი, მამულ განაღდებული, მიეშურება რომელიმე ქალაქისაკენ, სადაც მას თეატრები, კლუბები და სხვა გასართობი თავ-შესაქცევი დაწესებულებანი ალერსიანათ იტყუებენ. ყველა ამას ბოლოს საზოგადოებრივ შედეგათ ის მოსდევს, რომ სოფელი ცარიელდება, ქალაქებში კი თავს იყრის დიდძალი ხალხი (გლეხები, თავადები, მუშები, მემამულენი და სხ.). სხვა და სხვა ნაციის ადამიანებიც ერთმანეთში, ერთ ტერიტორიაზე ირევიან. მწვავდება ნაციონალური ბრძოლა. პრესაში თუ საზოგადოებაში ისმება საკითხი, თუ ქართველებმა როგორ შევირჩინოთ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ტერიტორია, და სხ. თავის თავად ცხადია, რომ ზემოხსენებულ გლეხსა და თავადს ეს შედეგები არ შეეძლოთ წინდაწინვე დაენახათ (ჯერ ეხლაც ვერა ხედავს ამას ბევრი მათგანი) და თუნდაც დაენახათ, ისინი მაინც ისე მოიქცეოდენ, როგორც მოიქცენ. თანამედროვე ცხოვრების ღერძია პირადი სარგებლობა, პირადი ან ჯგუფებრივი და კლასობრივი ინტერესები.

სოციალიზმის დროს ამ უკანასკნელთა ადგილს დაიჭერს მთელი საზოგადოების სარგებლობა, ყველა ადამიანების საერთო კეთილ-დღეობის ინტერესები. და ნაცვლათ „ბრმა შემთხვევისა“, ეკონომიურ აუცილებლობის წინ წამოდგება ცნობიერი საზოგადოებრივი მიზნები, წინასწარ მოფიქრებული და განსაზღვრული. ამრიგათ დაითრგუნება აუცილებლობა და გაბატონდება თავისუფლება. თუ დღეს მაგ. ნაციის ადამიანთაგან საცხოვრებელ ადგილების დაჭერა, ნაციების ტერიტორიალური განაწილება ბრმა შედეგია ბრმა ეკონომიურ ძალთა თამაშის, სოციალისტურ საზოგადოებაში იგი იქნება უტყუარი გამოხატულება ცნობიერ საზოგადოებრივ ნება-სურვილისა. და რომ თავისუფალ სურვილით ადამიანი სამშობლო მიწას არ მიატოვებს, ეს თავისთავათ ცხადია. მომავალ საზოგადოების ადამიანისათვის, თქმა არ უნდა, ღია იქნება მთელი სამყარო; იგი არ მოერიდება უშორეს მგზავრობას—ხმელეთით, ზღვით თუ ზეცით—მარა მუდმივ საცხოვრებლათ ისევ სამშობლო კერას აირჩევს; რაც უნდა გულ-გონების წარმტაცი იყოს უცხო მხარეები, ადამიანი ბოლოს მაინც თავის სამშობლოს მიატანს, რადგან... აქ მას ეგულება:

„ზეცა სულ სხვაფრათ გაბრწყინებული და სულ სხვა რიგად დამშვიდებული“... ეს მუდამ ასე იქნება, რადგან დამყარებულია ბსიხიკის გარდაუვალ კანონებზე. მაშასადამე სოციალიზმის დროს მოხდება ნაციათა ერთ, თავ-თავის ადგილზე კონცენტრაცია (შეგროვება). ასეთ ტერიტორიალურ გამიჯვნას კი ის მოყვება შედეგათ, რომ ნაციონალურ კულტურის და მთელ ცხოვრების ერთობა ნაციის ყველა წევრებს უფრო მეტის სიცხოველით, მეტის სიძლიერით ჩააქსოვებს ნაციონალურ ხასიათსა და ბუნებას. ამ რიგათ, სოციალიზმი კაცობრიობას ნაციებათ დაანაწილებს უფრო მკაფიოთ და უფრო მეტის სიმტკიცით.

ოჰ, ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ „განსწავლული“ მკითხველი აქ უკმეხათ შეგვაჩერებს... მართლაც ძალიან გავრცელებულია—როგორც სოციალისტებში ისე არა სოციალისტებში—ის აზრი, რომ სოციალიზმი სპობს ნაციონალურ განსხვავებათ და მთელ ქვეყნიერობას და მთელ კაცობრიობას ხდის ერთ სამშობლოთ და ერთ ნაციათ. ამ აზრს იცავს, სხვათა შორის, კარლ კაუცკი. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს აზრი მტკნარი, შეუწყნარებელი შეცდომა არის*). განვიხილოთ შემდეგ.

ონ.

სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში.

კავკ. საფილოქსერო კომიტეტმა თავის შუამდგომლობაზე მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე მისცემოდა მას 1700 მან. ამიერ-კავკასიის გამოსაკვლევათ ფილოქსერის მხრივ, მიიღო პასუხათ, რომ ამ საქმისათვის უსახსრობის გამო შეიძლება გადაიდოს მხოლოდ 300 მ. ამის გამო კომიტეტის მუშაობა თითქმის შესწყდა.

—

ახლო მომავალში შესრულდება 200 წელიწადი მას შემდეგ, რაც მეფე ვახტანგის მიერ დაარსდა საქართველოში სტამბა. ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობამ იკისრა თაოსნობა გამართოს 200 წ. საუბილეო დღესასწაული. ამის გამო წინასწარი მუშაობა სწარმოებს.

—

გაზ. „ამირანს“ ატყობინებენ, რომ სოფ. ახალციხეში (ახალ-ქალაქის ახლოს) მთავრობას ჩაუყენებია ეგზეკუცია, რადგან იქ მაისის შუა რიცხვებში დაიკარგა უკვალოთ თავ. გრ. თარხნიშვილი და მომტაცებელნი ადმინისტრაციამ აქამდის ვერ აღმოაჩინა. ეგზეკუციის ხარჯათ საჭიროა ყოველ დღე 3 ურემი თივა, 48 ცალი ხელის საპონი, 48 გირვანქა სარეცხის საპონი, 2 ფუთნახევარი შაქარი, ორი გირვანქა ჩაი, თითო შეკვრა თუთუნი, პური და სხვა. ხალხი ძალიან შეწუხებულია ამ ხარჯებისაგან.

—

ზემო იმერეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ ერთ-ერთ ბოქაულს გამოუცხადებია სოფლელებისათვის: არამც და არამც ქართული გაზეთი არ გამოიწეროთ. თუ ძა-

*) იმ ამხანაგებს, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ გასცილებიან ავტორიტეტის კალთას, და კრძალვით გაურბიან საკუთარ აზრის გაჩუჩუნებას, იმათ დასამშვიდებლათ ვიტყვით, რომ როცა კაუცკის ზემოხსენებულ შეხედულებას შეცდომათა ვთვლით, ჩვენ ზურგს გვიმაგრებს ისეთი მწერალი, ოტტო ბაური, რომელსაც თვითონ კაუცკი მარქსიზმის ერთ საუკეთესო თეორეტიკოსათ აღიარებს.

ლიან საჭიროა თქვენთვის ამბების გაგება, გამოიწერეთ მთავრობის გაზ. „Россия“; მარტო იმაში იწერება სიმართლეო. მართალია რუსული კითხვა არ იცით, მაგრამ აი სოფლის მწერლები. ისინი გადმოაქართულებენ შიგ დაწერილსაო.

—

როგორც სააგენტოს დეპეშები გადმოგვცემენ, ქუთაისის ციხიდან ღამე გაპარულა 20 პატიმარი თხრილის შემწეობით. 16 იმათგანი ისევ შეუპყრია პოლიციას.

—

19 ივლისს კიევის ინსტიტუტის სტუდენტმა იოს. ივანოვმა რევოლვერით თავი მოიკლა. როგორც ნათესავები აცხადებენ, ივანოვი სულიერათ ავათ-მყოფი ყოფილა.

—

თბ. პოლიცმეისტერმა ციხოვსკიმ საჩივარი აღძრა გაზ. „Голосъ Кавказа“-ს რედაქციაზე, რადგან უკანასკნელმა ფელეტონ „Шапка невидимка“-ში ცილი დამწამაო. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

—

თფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა გაზ. „ნაპერწკალი“, „ახალი სხივი“ და „თბ. ფურცელი“ სამხედრო წესების მოხსნამდე.

—

ადმინისტრაციის განკარგულებით გამოჰყვეს ნაძალადევი ცალკე საპოლიციო ნაწილათ. მთელი ნაძალადევი დაჰყვეს სამ „ოკოლოდკათ“.

—

„დასაწყისის“ რედაქტორს გ. მაჭავარიანს, თბ. სამოსამართლო პალატამ გადაუწყვიტა ერთი წლით დაპატიმრება. მაჭავარიანს ჰბრალდება მავნე მიმართულების წერილების ბეჭდვა გაზეთში.

—

მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ № 7 მოზრდილთათვის და № 13-ი მცირე წლოვანთათვის; ორივე ნომერი მდიდარია შინაარსით და ჩვეულებრივ ლამაზათაა გამოცემული.

რუსეთში.

სიკვდილით დასაჯეს: დუბნაში—სამი, სმოლენსკში—ერთი, ნოვოჩერკასში—ორი.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ლოძში—შვიდს, კიევში—ექვსს, რიგაში—ერთს, სარატოვში—ორს, ხარკოვში—ოთხს, ნოვოჩერკასში—ერთს, ოდესაში—ექვსს, ჟიტომირში—ორს, ეკატერინოსლავში—შვიდს, მინსკში—ერთს, კაზანში—სამს.

—

კიევსა და ვოლოგდაში ებრაელთა აკლება აწიოკებაში მონაწილეთ, რომელთაც გადაწვეტილი ჰქონდათ სასამართლოსაგან რამდენიმე თვით დაპატიმრება, უმაღლესათ ეპატიათ სასჯელი.

—

ეკატერინენბურგში აღმოუჩენიათ ს.-რ. სტამბა; დაპატიმრებულია 13 კაცი.

მოსკოვში დაიჭირეს ს.-დ. კომიტეტი ხამოვნიჩის რაიონისა; დაჭერილია ცხრა კაცი; წაიღეს სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები, წიგნები, იარაღი და შრიფტი.

—

ჩელიაბინსკში აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა; დაიჭირეს 8 კაცი.

—

ვინნიცაში დაიწო შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო მომრიგებელ მოსამართლეთა კამერები და მათი სიეზდი. ცეცხლში დაიღუპა სამი უკანასანელი წლის საქმეები საბუთის ქაღალდებით და ვექსილებით.

—

ქ. ვოლოგდაში საგუბერნიო ციხის ტუსაღებმა მოიწადინეს მასიური გაქცევა. იმათ გახერხეს ფანჯრებზე მიკრული რკინის ბადე და იწყეს ჩამოსვლა ძირს გადაბმული ზეწრების შემწეობით, ოთხმა მოახერხა კედელს იქით გადასვლა. ორი დაიჭირეს. გაქცეულები მატროსებია.

—

რადგანაც იაროსლავის გუბერნიაში განუწყვეტელი წვიმებია, რის გამო ხდება ჰინახული, ქ. იაროსლავის მცხოვრებთ დეპუტაცია მიუგზავნიათ ადგილობრივ არქიელისთვის თხოვნით: გადახდილ იქნას მთელ ეპარქიაში პარაკლისები, რომ შესწყდეს წვიმები...

—

როგორც საბოლოოთ გამოირკვა ფინლიანდიის სეიმში არჩეულ იქნენ: სოციალ-დემოკრატი—83, სტარო-ფინები—34, მლადო-ფინები—27, შვედელების პარტიისა—25, აგრარიებიდან—9, ქრისტიანულ მუშათა კავშირიდან —ორი.

—

სამოსამართლო პალატის სესიამ ქ. უმანში მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატ კირიენკოს, რომელსაც ბრალსა დებდენ 129 სტ. ძალით, გადაუწყვიტა გადასახლება.

—

კიევის გაზეთებს გენ.-გუბ. აუკრძალა შეეხონ ქალაქის თავის მოქმედებას, რომელიც გატაცებულია სხვა და სხვა გასართობებით და ქალაქის საქმეები კი უკანასკნელ მდგომარეობამდე მიიყვანა.

—

ვორონეჟის ციხეში ტუსაღ კატორჟნიკებმა განიზრახეს გაქცევა და გაუწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა მოდარაჯე სალდათებს. ოთხი პატიმროაგანი მოკლეს.

—

მოსკოვის მონარქიულ პარტიის ცენტრალურმა ბიურომ გამორიცხა პარტიის წევრობიდან ნაფიცი ვექ. ლ. ნ. ბობროვი, რადგან მონარქიულ პარტიის კრებაზე 22 ივნისს მიიყვანა „რევოლიუციონურ“ გაზეთის კორესპოდენტი. ბიუროს ცნობით, მონარქიულ პარტიის კრებებზე ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სისტემატიურათ დაიარებოდენ მემარცხენე გაზეთების წარმომადგენელნი, მაგრამ ვერ გაეგოთ თუ ვისი შემწეობით ახერხებდენ დასწრებას; ეხლა კი დანამდვილებით შეიტყეს, რომ ამაში დამნაშავე ყოფილა ბობროვი; თურმე ეს უკანასკნელი თავისი ბარათებით აპარებდა მემარცხენეებს კრებებზე. ბობროვს ეჭირა თავლსაჩინო ადგილი კავშირში და ითვლებოდა კავშირის ერთ-ერთ განყოფილების თავმჯდომარეთ.

ახლო მომავალში მოსკოვის სამხედრო-საოლქო სასამართლოში გაირჩევა ცნობილი საქმე სრულიად რუსეთის სამხედრო კავშირისა. პასუხის გებაში მიცემულია ამ კავშირის აუარებელი წევრი. ბევრი იმათგანი ორ წელზე მეტია, რაც ციხეში იმყოფება.

მალოროსიულ გაზ. „რადა“ში მოთავსებულია საინტერესო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აგროვებენ „მოკავშირენი“ თავიანთ წევრებს. ვოლინის ეპარქია დაიარა არქ. ვიტალიმ და, სხვათა შორის, სწერავდა ჭეშმარიტ რუსთა კავშირში სოფლებს. ზოგიერთმა სოფელმა არ ინდომა კავშირში ჩაწერა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერობამ აღნიშნულ გუბერნიაში შეადგინა სია იმ სოფლებისა, რომელნიც განიცდიდენ სიმშილს, რომ მათთვის მიეწვდია ფქვილი იაფ ფასში. ის სოფლები, რომელთაც არ ისურვეს კავშირში ჩაწერა, სრულიათ არ იყვენ მოხსენებულნი სიაში, თუმცა სხვაზე არა ნაკლებ განიცდიდენ სიმშილს. გლეხებმა მიმართეს ამის გამო ერობის უპრავას, სადაც მათ ოფიციალურათ უპასუხეს, რომ იმათ სოფლებში სიმშილი არ არის და იმიტომ არ ჰყიდიან მათზე პურს, გადაკვრით კი ურჩიეს წასულიყვენ ვიტალისთან, მოენანებიათ ძველი რევოლიოციონური ცოდვები და ეთხოვათ „კავშირში“ ჩაწერა,— მაშინ პურიც გექნებათო, გაუკრეს გლეხებს. და, მართლაც, იმავ დღეებში მივიდა პოჩაევში არქ. ვიტალისთან ორი სოფლიდან დეპუტაცია თხოვნით ჩაეწერა მათი სოფლები ჭეშმარიტ რუსთა კავშირში, ვიტალი სახლში არ დაუხვდათ და რით გათავდა ეს საქმე არავინ იცის ჯერ-ჯერობით, რადგან გლეხები სახლში დაბრუნდენ, დასტოვეს მხოლოთ ვიტალისთან თავიანთი თხოვნა. აღნიშნული ფაქტი არა მარტო იმით არის საინტერესო, რო გვიჩვენებს, თუ როგორ აგროვებან მოკავშირენი თავიანთ წევრებს, არამედ იმითაც, რომ ნათელსა ჰფენს ეხლანდელ ერობების მოღვაწეობას.

(„რეჩი“ №№152—158).

უცხოეთში.

ახალგაზდა-ოსმალთა კომიტეტმა ქ. მონასტირში გადასცა სახელმწიფოთა კონსულებს მემორანდუმი. ბარტია ატეობინებს კონსულებს თვის გუმანიტარულ და დიბერალურ მიზნებს. იგი თავის უმთავრეს მიზნათ ისახავს განახორციელოს და ცხოვრებაში გაატარონ 1876 წ. კონსტიტუცია. ბარტია ფიქრობს, რომ კონსტიტუციის განხორციელება ერთნაირათ სასარგებლო იქმნება ყველასათვის განურჩევლათ მოდგმისა და სარწმუნოებისა; ის მიმართავს ენერგიულ საშუალებას მაშინ, თუ საჭირო შეიქნება თავისუფლების მტერთა ალაგმვა. ბარტია წინააღმდეგია უბრალოთ სისხლის დაღვრის, მაგრამ ფიქრობს, რომ ძველი ოსმალეთის მთავრობა მოახდენს ბრიოკატორულ სიხხლის ღვრას ოსმალთა და სხვა ერეგნებათა შორის, რომ დანაშაული ახალგაზდა-ოსმალთა ბარტიის მოახვიოს თავზე; ჩვენი მებძოლი რაზმი არ დაესხმება სოფლებს, არამედ იმას დაიცავს და იქადაგებს კეთილ-თანხმობის და ძმობას ხალხთა შორის. დიგა სთხოვს კონსულებს, შეატყობინონ მათ თავ-თავის მთავრობებს ბარტიის მემორანდული.

— დისტიბლინის დარღვევა ჯარში გძელდება.

— **ბერლინი.** სალონიკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ჯარში მოძრაობა ძლიერდება ახალ-გაზდა-ოსმალთა ბარტიის სასარგებლოთ. დივიზიის გენერალი ალი-თაში ორი შტაბის ოფიცერით გაგზავნა აჯანყებულების მხარეზე რესნში.

— ვენიდან „ბირ. ფედ“ მიიღო დეპეშით ცნობა, რომ სამხედრო აჯანყება მაკედონიაში ძლიერდება. აჯანყებულთ უნდოდათ მთელი ბატალიონები აფიცრებით. მდგომარეობა უკიდურესათ მწვავდება,

— „კორესპონდენტ- ბიუროს“ დეპეშით ატყობინებენ, სტამბოლიდან რომ უფრო წინდახედულ ოსმალთა და სხვა აქაურ სერიოზულ სფერებში ტრიალებს აზრი, რომ საშარო რიმე ზომების მიღება მოძრაობის შესაჩერებლათ ან სრული ან სახეშეცვლილ კონსტიტუციის აღდგენით, ან რაიმე ახალი დადგენილებით. ჩვეულებრივი ხაშვალებანი— დაჯილდოება, ფულით საჩქაროთ, დაშტიმრება, დასჯა, გადასახლება ეხლა ველარ მშველენ მიზანს. (P. A.)

— სალონიკში ახალგაზდა-ოსმალთა მოძრაობისადმი ოფიცრების სიმპატია იზდება. რომ არ გაბრაზონ სალონიკის გარნიზონის ოფიცრები, გაიწვიეს იქიდან მთავრობისა და სულთანის ყველა საიდუმლო აგენტები.

— იდიზ-კიოსკში ახალგაზდა-ოსმალთა ბარტიის მოძრაობის შესახებ განუწყვეტელათ გძელდება მინისტრთა თათბირი.

Berliuer Tageblatt-ს სტამბოლიდან ატყობინებენ, რომ ოფიცრებმა დაიწერეს ადრიანოპოლის ბოხტამტი და მოითხოვეს კონსტიტუცია.

— რესნსა, ოხრიდასა და მონასტირში ახალგაზდა-ოსმალთ უერთდებიან ახალ-ახალი მომხრეები. ბარტიის ბელადები გაორკეცებული მუშაობენ აჯანყების ორგანიზაციის დასასრულებლათ, რადგან აჯანყებამ იფეთქა უფრო ადრე, ვიდრე ამას ფიქრობდენ.

მცხოვრებლები თანაგრძნობით ეპყრობიან მათ-თუ მთავრობა შეეცდება აჯანყების სამხედრო ძალით ჩაქრობას, მოსალოდნელია რომ, მას მოჭეველ სერიოზული კარუფება.

სპარსეთი. „ტაიმს“ თავრიზიდან დეპეშით ცნობა მოუვიდა, რომ მთელი ქალაქი რევოლიუციონერების ხელშია გარდა მუშტეიდებისა. შაჰის ჯარმა, რომელიც გამოგზავნილი იყო თეერანიდან რევოლიუციის ჩასაქრობათ თავრიზში, იარაღი და ფორმის ტანისამოსი დაჭეარა და თავ-თავის სახლში წავიდა. 5 ივლისს ხალხის მითაურები შეეკრიბენ შეჩეთში და დაადგინეს, რომ შაჰის მომხრე მუშტეიდები ძალათ ავიღოთ და მოვსპოთ მათი კლერიკალური გავლენა, მაგრამ რუსეთის უმთავრესი კონსული დაჭეირდა, რომ შაჰსა ვსთხოვ და ბრძანებას გამოგაცემინებ მუშტეიდების გაფანტვის შესახებ. შაჰის თითეულ მომხრეებს ეველგან ჭკლავენ, სადაც კი მოახელებენ. უმთავრესი ჯალათი რახიმ-ხანი უკვე მოჭკლეს რევოლიუციონერებმა ქუჩაში ხალხის თვალ-წინ. შაჰი არ დასთანხმდა მუშტეიდების გაფანტვას, ამისთვის 7 ივლისს დილის 4 საათზე დაიწყო ზარბაზნებისა და თოფების სროლა რევოლიუციონერებისა და შაჰის მომხრეებს შორის.

— სათარ-ხანის და მისი რაზმის გმირობა მთელ სპარსეთს ეოცნებ, მთავრობის ჯარი, რომელიც შესდგებოდა 700 ულაზანისა და 200 ცხენოსანისაგან, მოვიდა თავრიზს და ალეა შემოარტყა იმ უბანს, სადაც სათარ-ხანი და მისი რაზმი იყო გამაგრებული. დიდი ბრძოლის შემდეგ მთავრობის ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია (რ. ს.).

— 24 ივნისს რუსეთის მთავარ კონსულის ალაყაფის კარებს რევოლიუციონერებმა შემდეგი შინაარსის ბროკლამაცია გააკრეს:

„მის ალმატებულებას რუ'ეთის კონსულს. ყველამ კარგათ იცის, რომ თქვენ ხართ მომხრე რეაქციონერებისა შტორმანის უბნის მცხოვრებლებისა. სანამ ისინი გვძლევდენ,

თქვენ არ ერეოდით საქმეში და დინჯათ უცქეროდით ეგვლა-ფერს. მაგრამ როდესაც ჩვენ ვძლიეთ, თქვენ მაშინვე ჩვენი შერიგება მოინდომეთ. თქვენ სიტყვას ვერწმუნეთ და თოფის სროლა შეგწყვიტეთ; გუშინ დაატუსაღეს რამდენიმე ჩვენი მომხრე და ერთს მათგანს ეური დაულურსმეს კედელზე. გი-ცხადებთ შემდეგს: ამას იქით ნულარ გაერევით ჩვენს შინაურ საქმეებში, რომელიც სრულიათ არ შეეხებე თქვენ. კონსტი-ტუციაზე ნებაუოფლობით ხელს არ ავიღებთ, სჯობია სულ დავიღუნეთ. თქვენი ერთად ერთი მოვალეობაა—იჯდეთ სა-კონსულოში და დეიცვათ რუსეთის ქვეშევრდომნი ჩვენ. კონ-ტიტუციის მომხრეებს, საქმე არა გვაქვს უცხოელებთან და ჩვენის მხრივ მათ არა დაუშავებათ-რა. თუ თქვენ კიდევ გაერევით ჩვენ საქმეში, გაფრთხილებთ, რომ თქვენ ტუდი საქმე მოგივათ და ჩვენ ბასუხს ადარ ვაგებთ, თუ თქვენ, უტო სახელმწიფოს წარმომადგენელს, რაიმე ზიანს მოგა-უნებენ ამ ბროკლამაციით ვიწვევთ მოწმეთ ევროპის სხვა კონსულებს". ხელს აწერენ: „კონსტიტუციის უფლა მომხ-რენი".

„ბოლოს მოსკვი-"ს კორესპონდენტი იწერება, რომ თავრიზში სათარ-ხანის რაზმში უმისაჩიზის უბანში 50 კა-კასიელი რევოლიუციონერი იბრძოდა.

— 7 ივლისს „ტაიმს" დეპეშით ატყობინებენ, თავრი-ზიან, რომ შაჰის მოწინააღმდეგეთა გამარჯვებამ მიაღწია უმაღლეს წერტილს. სათარ-ხანმა შეატყობინა შაჰის მომხრე მუშტაიდლებს, რომ თუ ორ საათამდე ნებით არ დამნებდე-ბით, ძალით დაგიბურობთო. მან შესრულა თავის სიტყვა, მაგრამ 2-ის მაგივრათ მიიტანა იერიში 3 საათზე, სათარ-ხანს ჰქონდა მინდვრის ორი ზარბაზანი; შაჰის მომხრეებს ერთი. ბრძოლას საშინელი მკაცრი ხასიათი ჰქონდა. ერთი საათის განმავლობაში შაჰის მოწინააღმდეგეებმა აიღეს უმთავ-რესი მუშტაიდი. აქ დაიჭირეს ტელეფონის საადგური და აქედან დაიწყეს წინ-სვლა ვიწრო ქუჩებით. საღამოს 6 საათზე უკვე უბნის სამი ნაწილი იყო აღებული. რევოლიუციონერებმა დაჰკარგეს 15 კაცი. შაჰის მომხრეთა ზარალი დიდია. მუშ-ტაიდმა დასტოვა ქალაქი. ევროპის ტელეგრამის მავთულები დასაფლეთით აულ გადასწრეს. („П. А.")

ბრძოლა არსებობისათვის და მარქსიზმი.

ყოველ საზოგადოებრივ ფორმას, რომელსაც ის-ტორიულ განვითარების აუცილებელ საფეხურზე ნიადაგი ეცლება და მომავალში ახლოლად თავის გაქრობას ელის, თან დასდევს შესაფერი იდეოლოგია, რომლის ნიშნობ-ლივი თვისება უკვე არსებულის დაცვა, მისთვის მეცნი-ერული საძირკვლის დადგმაა; ამაოდ, მისი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, განვითარების აუცილებლობა განაგრძობს თავის საქმეს—საქმეს დიდე-ბული მომავლის მჭედლისას. იდეოლოგია, რომელიც ძველ საზოგადოებრივ განწყობილებათა ნიადაგზედ არის აღმოცენებული, ვერ უძლებს იდეოლოგიას ახალი შინა-არსისას: ულმობელი სინამდვილე **სიმართლეს** გამარჯვე-ბას თვითონ უმზადებს. სწორეთ ასეთ ხანას,—ხანას კრიტიკა-შემოქმედებისას-ერთის მხრით და კონსერვა-ტიზმისას-მეორეს მხრით,—განიცდის დღევანდელი სა-ზოგადოებრივი ფორმა თავისი მფარველი მიმართულებით, რომელსაც ლიბერალიზმი ეწოდება.*)

ეს უკანასკნელი ხან თეოლოგიას იწვევს მოწმედ, ხან ბუნების-მტყველებას, ხან ბრძოლის საჭიროებას აღი-არებს, ხან მის უარყოფას, ოღონდ თავისი მშობელი საზოგადოებრივი ფორმაცია დაიცვას და მის დაუძინებელ მტერს „მეოთხე წოდებას", რომლის მისწრაფებანი მარქ-სიზმში არიან გამოხატულნი, თავზე მტვერი გადააყაროს; ლიბერალიზმი დიდებულ ევოლიუციონურ თეორიას—დარვინიზმსაც კი ებღაუჭება და მის დევიზსს: „The sur-vival of the fittest" დღევანდელ საზოგადოებრივი სის-ტემის თავისუფლებას ნიადაგად უდებს. დარვინიზმი სას-ტიკ ბრძოლას უცხადებს კოველ კომუნისტურსა და სო-ციალისტურ მოძღვრებასო—გაიძახის ზემოდ ხსენებული მიმართულება და იწყებს დარვინის თეორიის ცენტრზე —არსებობისათვის ბრძოლაზე— სჯა-ბაასს.

ყველამ ვიცით, რომ პირველი და უკანასკნელი სიტყვა განვითარებისა ბუნებაში არის ბრძოლა,—ბრძო-ლა სასტიკი და შეუბრალებელი,—ბრძოლა, რომელსაც მხოლოდ ძლიერი უძლებს, სუსტი კი ბრძოლის ველზე მკვდარი ეცემა; „The survival of the fittest"**) იმ ინდი-ვიდის გადარჩენა, რომელიც უფრო მომზადებულია ცხოვ-რების პირობების ასატანად—ეს ქვაკუთხედი დარვინის ევოლიუციონურ თეორიისა—უპირველესი ძალაა განვი-თარებისა ბუნებაში. რადგან ერთი და იმავე სახის ორ-განიზმები ძალიან ჩქარა მრავლდებიან, ამიტომ მხოლოდ მათ შეუძლიათ გადარჩენის იმედი იქონიონ, რომლებიც უფრო განვითარებულნი არიან და მომზადებულნი ცხოვ-რების სასტიკი პირობების ასატანად. ეს ბუნების ცხოველ-მყოფელი ძალაა; ეს არის მიზეზი იმ შეუჩერებელ მოძ-რაობა-განვითარებისა, იმ სპეციალიზაციისა სხვა და სხვა ორგანოების მოქმედებაში, რომელთაც ჩვენ ბუნებაში ასე ცხადათ ვხედავთ. ერთი სიტყვით ბრძოლა არსებო-ბისათვის არის ის საძირკველი, რომელზედაც ბუნება თავის დიდებულ შენობას აგებს: ძლიერი ცოცხლობს, სუსტი კვდება და ამით მომავალი ნათლდება. ეს პრინ-ციპი დარვინის თეორიისა ლიბერალიზმის ადეპტებს სა-ზოგადოებრივ ცხოვრებაში გადააქვთ და მომავალ გამარ-ჯვების დღეს წინასწარ უქმობენ. ბრძოლა საზოგადოე-ბაში ისე, როგორც ბუნებაში,—ბრძოლა არსებობისათ-ვის თვით სიცოცხლეა, მამოძრავებელი ძარღვია, ერთად-ერთი პირობაა პროგრესისა, კაცობრიობის განვითარე-ბისა ფიზიკურად და გონებრივ-მორალურად; თუ კი ბრძოლა არსებობისათვის ბუნებაში კანონია,—ის კანო-ნი უნდა იყოს აგრეთვე საზოგადოებაში. განვითარების უამპრინციპოთ, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში კონკურენციის სახელი ეძლევა, წარმოუდგენელია კაცო-

*) ამ წერილში ჩვენ მხოლოდ ბანვითარებული კაპიტალის-ტური სახელმწიფოები გვყავს სახეში, ნამდვილი ფორმა ნამდვილი შინაარსისა.

**) გადარჩენა საუკეთესოთ შეგუებულისა, რაც იმავე დროს აღნიშნავს საუკეთესო ინდივიდს.

ბრიობის არსებობა, მისი კეთილ-დღეობა. რომ რაღაც მანქანებით პსიხოპატ-რეფორმატორებისა და სოციალისტ-კომუნისტების მისწრაფებანი განხორციელდნენ, რომ უბედურათ ყველა ერთი მტრის სიყვარულით გაიჟღენთოს, მაშინ ისინი, რომელნიც სუსტნი არიან, მაღალ საფეხურამდის მიაღწევენ და ამით მთელი კაცობრიობის ენერგია, მისი ინტელექტი და საზოგადოდ ყველაფერი, რაც კი ასი და ათას წლობით ნაშოვნ-ნაპოვნია არსებობისათვის ბრძოლის წყალობით, დაიღუპება; ბუნება იმასათვის ხარჯავს იმდენ ენერგიას ინდივიდების განვითარებაზე, რომ ის მუდამ ბრწყინვალე მომავლისაკენ ესწრაფვის და ურიცხვ ემბრიონებისაგან მხოლოდ რამოდენიმე ინდივიდს უთმობს ადგილს; ასეთია პროცესი საზოგადოებრივი განვითარებისაც. რამდენად მეტს აკვირდება ადამიანი ბუნებას და სწავლობს მას, იმდენად უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ის (ბუნება) ინდივიდუალობის განხორციელებაა და ამიტომ მალე სოციალისტ-კომინისტური თეორიები და ძმობა-ერთობის იდეალები არხივში მიეცემა და ინდივიდუალიზმი საბოლოოთ გამეფდება. ყოველი ნასწავლი, მეცნიერების ნიადაგზე მდგომი ადამიანი უნდა ეტრფოდეს და იცავდეს საფრანგეთის რევოლიუციისაგან შექმნილ ცხოვრების განწყობილებათ, იმ რევოლიუციისაგან, რომელმაც გაანთავისუფლა ადამიანის პიროვნება პატრიარქალურ-ფეოდალურ მონობისაგან და კაცობრიობას დიდებული განვითარების არენა მიანიჭა; ინდივიდუალიზმს, რომელიც აქამდე ემბრიონალურ (შთანასახის) მდგომარეობაში იყო, დიდ რევოლიუციისაგან წარმოშობილმა პირობებმა — კაპიტალისტურ საზოგადოების პირობებმა—ფართო ნიადაგი მისცა. ასე გაიძახიან ლიბერალები და ამ გვარათ ამტკიცებენ, რომ, როგორც თეორია, ისე პრაქტიკა წინააღმდეგია „მეოთხე წოდების“ იდეალის განხორციელების და მოტრფიალეა თანამედროვე სინამდვილის.

ვნახოთ, გავარჩიოთ მართალია თუ არა ლიბერალიზმის აღსარება, მართალია თუ არა ის დებულება, რომ დარვინიზმი კაპიტალისტურ საზოგადოების არსებობას ამართლებს და პროლეტარიატის იდეოლოგიას ე. ი. მარქსიზმს სასტიკ ბრძოლას უცხადებს; ვნახოთ რამდენათ ეწინააღმდეგება დარვინიზმი მარქსიზმს.

მართალია საზოგადოებაშიც სწარმოებს ერთგვარი ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც იხატება კონკურენციაში, მაგრამ განა ბრძოლა არსებობისათვის, როგორც ეს დარვინს ესმოდა და როგორც ის ბუნებაში სწარმოებს, ერთის მხრით და ბრძოლა, რომლის მოწამე ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვხდებით, მეორე მხრით, განა ეს ერთი და იგივეა? განა არსებობისათვის ბრძოლა ბუნებაში და კლასთა ბრძოლა საზოგადოებაში სრულ იგივეობას წარმოადგენს? ბუნება ყოველ ინდივიდს, სრულებით უმნიშვნელოსაც კი, ერთსა და იმავე პირობებს აძლევს ბრძოლისათვის, განვითარებისათვის; გარეშე პირობებს, რასაკვირველია. იმარჯვებს ის ინდივიდი, რომელიც უფრო ძლიერია, რომელიც უფრო მომზადებულია ცხოვრებისათვის; ბრძოლის ველიდან ცოცხლად გამოსვლა აქ პირად ღირსებაზე არის დამყარებული,— ინდივიდის ბრძოლის ძალაზე. სრულებით სხვა ამბავი ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში; აქ სამნაირი ბრძოლის ძალა არსებობს: „ფინანსიური“, ფიზიკური და ინტელექტუალური. ვერავინ ვერ იტყვის, მგონია, რომ ფიზიკური ძალის მფლობელთ და მათ მხოლოდ აქვთ არსებობის უფლებაო, რადგან უპირველესი გენიოსი მაშინ,—ადამიანი, რომელიც, კაცობრიობისათვის აუცილებელ ძალას წარმოადგენს, მაგრამ რომლის ფიზიკური ძალა, შეიძლება, სუსტია, ულმობელათ უნდა დაეცეს უბრალო, უმნიშვნელო მაწანწალას წინაშე არსებობისათვის ბრძოლაში. ვერავინ ვერ დაიწყებს სერიოზულათ იმის მტკიცებას, რომ დარვინის ბრძოლა არსებობისათვის და ფინანსიური ძალა—ფული ერთი და იგივეა, რომ ეს უკანასკნელი ბაზისი არის, რომელზედაც შენდება ბუნებრივი უფლება არსებობისა. დარჩა ინტელექტუალური ძალა ბრძოლისა, რომელიც ადამიანის არსებობის ჰარმონიზაციას წარმოადგენს და რომლის განხორციელებას დღევანდელი სოციალური მოძრაობა ასე თავგამოდებით ესწრაფვის. ფინანსიური და ფიზიკური ძალთა წყალობით $^3/_4$ კაცობრობისა მოკლებულია საშვალებას გონებრივ განვითარების ისტორიაში შესაფერი ადგილი დაიკავოს,—გაბატონებული კლასი უკრძალავს მას ხმის ამოღებას და დიდებული აზრების მატარებლათ, მეცნიერებისა და ხელოვნების ბუდეთ თავის თავს აცხადებს. და მიტომ, რომ კაცობრიობის დიდი უმრავლესობისათვის მიუწდომელია. ინტელექტუალური ბრძოლა, მიტომ, რომ ის **საყოველთაო** არ არის, მიტომ, რომ ის მხოლოთ რამოდენიმე სწავლულთ შორის სწარმოებს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიურ განწყობილებათა წყალობით,—აი ამიტომ კაპიტალისტური წესწყობილება და მისი იდეოლოგია პირდაპირი წინააღმდეგობაა, სრული უარყოფაა იმ პროცესის, რომელიც ბუნებაში სწარმოებს და რომლის დევიზი არის: „The surWial ot the gittest“; ძლიერი იმარჯვებს, სუსტი გულგაგმირული ეცემა,—ამას გვეუბნება ბუნება, რომელიც ყველა ინდივიდებისათვის ერთსა და იმავე პირობებსა ქმნის; ერთნაირი გარეშე პირობები, სხვა და სხვა ძლიერება ინდივიდებისა,—მათი სხვა და სხვა მომზადება—ეს არის ანბანი ბუნებისა. საზოგადოებრივი ცხოვრება კი? განა ესეთია? რასაკვირველია არა. მაგ. ვინმე დაბადებიდანვე დაავადმყოფებული სიცივესა და სიმშილს ძღვნად უგზავნის $^3/_4$ კაცობრიობისას, ის უვიცობის ქვესკნელში ყრის მკვირცხლ ახალგაზრდობას, რომელთაც შესაფერი დანიშნულების აღსრულება შეეძლოთ და იმავე დროს დიდის მოწიწებისა და სიყვარულით აყავს ცხოვრების მაღალ საფეხურზე ფიზიკურად და მორალურად სუსტნი, გადაგვარების გზაზე მდგომნი; ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც ასეთ პიროვნებების ხელში ვარდება, და დიდი ხნობით რჩება, თავის პირდაპირ დანიშნულებას სტოვებენ და მათ სიკვდილის ფერი ედებათ. ფშიბიშე-

ესკი თავისი ფალკით (Homo sapiens), ბეკლინი—ნაიადებით და პოეტები-დეკადენტები ტიპიური წარმომადგენელები არიან ასეთი აღმერთებული პიროვნებისა. და ამას ინდივიდუალიზმს ეძახიან და დარვინიზმი მოწმეთ მოყავთ. დარინიზმი იქ, სადაც დაბადების შემთხვევას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, არაფერ შუაშია; ინდივიდუალიზმის შესახებ ლაპარაკი მაშინ, როდესაც კაცობრიობის დიდი უმრავლესობა ისეთ პირობებში სცხოვრობს, რომელშიდაც ბუნება სრულებით თითქმის უმნიშვნელო ინდივიდს არ აყენებს!?. ავათ მყოფ **ყოფნას** ავათმყოფი **შეგნება** თან ახლავს. გარეშე ცხოვრების პირობების გავლენა ადამიანზე, როგორც ვხედავთ, სრულებით უარყოფილია, მათი როლი უმნიშვნელოთ ცნობილი; უპირველესი ფაქტორი ევოლიუციონურ თეორიისა,—შესაბამება ინდივიდისა ხსენებულ პირობებთან და არსებობისათვის ბრძოლაში აუცილებლათ საჭირო ორგანოების განვითარება—ეს ცენტრი დარვინის სწავლისა, დავიწვების უჯრაში ინახება, როდესაც ადამიანის თაობაზედ ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი.

ყველა ნათქვამის შემდეგ ცხადზედ უცხადესია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ფორმა შეურიგებელ წინააღმდეგობას წარმოადგენს ცხოვრების განვითარებასთან ბუნებაში და მის თეორიულ გამოხატულებასთან—დარვინიზმთან; რომ ლიბერალიზმი, რომელიც ყოველივე ერთეულობას მოკლებულია,—ერთეულობას აუცილებელ საჭიროს ყოველ მიმართულებისათვის, არა მეცნიერულ ნიადაგზედა სდგას და ამიტომ გადაგვარების იდეოლოგიაა; რომ საზოგადოდ კაპიტალიზმი, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში, ნიადაგსა კარგავს და ადგილს უთმობს ახალ ძალებს. მარქსიზმი კი, რომელიც ამ ახალი ძალების შეგნებული გამოხატულებაა, რომელიც ყოველ ინდივიდისათვის თანასწორ გარეშე პირობებს ქადაგებს—ეკონომიური უთანასწორობის მოსპობას ითხოვს—და ამით ინტელექტუალურ ბრძოლას მტკიცე ნიადაგს უმზადებს, მარქსიზმი—ვამბობ—მეცნიერულ დასკვნათა მედგარი მცველია, ბუნების პრინციპის გამომხატველია, დიდებულ ევოლიუციონურ თეორიის დევიზს: The survival ot the fittst"-ის მეცნიერულ alter eqo-ა. ბრძოლა,—ბრძოლა სასტიკი, შეუბრალებელი,—ბრძოლა, რომლიდანაც ძლიერი გამარჯვებული გამოდის, უძლური კი ეცემა;—მაგრამ ბრძოლა თავისუფალ, თანასწორ ადამიანთა იმ ასპარეზზე, სადაც მათ პირად ღირსებას აქვს მნიშვნელობა და არა სხვას რასმეს. თავისუფალი ინდივიდი თავისუფალ გარეშე პირობებში—ასკვნის მარქსიზმი და მას სავსებით ეთანხმება დარვინი; ბუნების განვითარების თეორია სრული დამტკიცებაა საზოგადოებრივ განვითარების სწავლისა; ბუნების-მეტყველი და სოციოლოგ-ეკონომისტი იდეიურათ ავსებენ ერთმანეთს. დასკვნა? დასკვნა შემდეგია: თანამედროვე სოციალურ-ეკონომიური განწყობილება თავისი იდეოლოგიით—ლიბერალიზმით სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ შედარებით ცხოვრების განვითარებასთან ბუნებაში და მის თეორიულ გამოხატულებასთან—დარვინიზმთან; მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა ამ უკანასკნელთა სრული დადასტურებაა.

მომავალიც მას ეკუთვნის... „ინდივიდუალიზმის" მეფობაც მაშინ დადგება.

მანწილი.

ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲡ.

—

კმარა, მგოსანო, დაეხსენ მრისხანეთ ბედის წყევასა!
ნაღველი სისხლში ნალესი ან ვით არ გიწყებს ლევასა?
კალამი უკმაყოფილოთ—ურჩობას, თრთოლვა-რხევასა;
ქაღალდი შხამ-დანაწვეთი სტრიქონზედ გადახევასა?!.
ვით არ გადავსცე აზრები გლახ-გულის-წყრომით ენასა,
როს სიყვარულით აღსავსე ხმა აღარ ატკბობს სმენასა?—
უფსკრულმა შთანთქა ჰანგები, მოსწყვიტა აღმაფრენასა;
ხარხარებს ბოროტი სული—ცეცხლი მოსტაცა ზენასა...

ბაბ.—ი.

სპარსეთის ტრაგედია.

სამწუხარო იყო სპარსეთის შინაური მდგომარეობა ეხლახან დატრიალებულ ტრაგედიის წინეთ; იგრე სამწუხარო, რომ ყველა ბრწყინვალე იმედები კვამლივით უნდა გაფანტულიყო და სასოწარკვეთილებისთვის ადგილი დაეთმო. თურქების ბრბო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოსმალეთის გაწვრთნილი ჯარი, იტაცებდა არა თუ მარტო სადაო საზღვრების მიწებს, არამედ სპარსეთის ნამდვილ კუთვნილებას. რუსეთის დამსჯელი ექსპედიცია მრისხანეთ მიიწევდა ჩრდილოეთიდან ბელასუარისაკენ. შინ კიდევ მეფობდა ყოფილი ანარქიული მიმართულების ნაშთი. რეაქციონური ძალები იკრეფდენ ღონეს და ყოველგან სთესდენ განხეთქილებასა ღა არეულობას. შაჰის დამოკიდებულება ხალხსა და კონსტიტუციასთან ისეთი გამწვავებული იყო, რომ ყოველ-წუთს მოსალოდნელი იყო საქმის ახალი გაძნელება. თვით პარლამენტში დაიწყო უთანხმო ელემენტების ბრძოლა. უფრო კონსერვატურმა პარტიებმა მოულოდნელათ მოიპოვეს ძალა და მნიშვნელობა. თვით დეპუტატებს შორის მოხდა სახალხო საქმის დამღუპველი განხეთქილება. თუმცა საქმე აგრე იყო, მაგრამ ვის შეეძლო წარმოდგენა იმ საშინელი ამბების, რომელმაც სპარსეთის პირველი პარლამენტის შენობა ფერფლათ აქცია.

ქვეყნის ბნელი ძალები ამოძრავდენ იმის შემდეგ, რაც მაჰამეტ-ალი შაჰის სიცოცხლის წართმევა სცადეს, რომელიც ნამდვილათ კი იყო პროვოკაცია. ამ პროვოკაციის უმთავრესმა დამნაშავეებმა, რომელთაც შეაფარეს თავი სასახლეს, დაუყოვნებლივ ისარგებლეს თავიანთ მომოქმედებული საქმის ნაყოფით და შეუდგენ ამაღელვებელ ფურცლების გავრცელებას. პირობები გამწვავდა. მაისის შუა რიცხვებში ზოგიერთმა უმაღლესმა პირებმა და გამოჩენილმა ოფიცრებმა, რომელთაც უკვე მოასწრეს სპარსეთში ფართე სახელის მოხვეჭა, დაიწყეს აზად-ულ-მულვის სახლში შეკრება სპარსეთის მიმდინარე პოლიტიკური ამბების შესახებ სათათბიროთ. ესწრებოდენ ამ კრებებს ზოგიერთი მინისტრებიც. ყველა ამ კრებების შედეგი გამოიხატა საერთო აზრში: სანამ ახალგაზდა შაჰი იქმნება სასახლის პარტიის ხელში, რომელიც გადააქციეს თავიანთ ინტრიგების იარაღათ, სპარსეთს არ შეუძლია იხილოს მშვიდობიანობა და შინაური სიწყნარე. ამის გამო მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე და თვითონ აზად-ულ-მულკა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა შაჰისთან, მივიდნენ მაჰამეტ-ალისთან და დაბეჯითებით სთხოვდენ მას იმ პირების მოშორებას თავიდან, რომელნიც გახდენ ხალხის შურისძიების საგნათ და უმტკიცებდენ, რომ მხოლოთ ამ რიგათ შეიძლება დამყარდეს საზოგადოთ შინაური მშვიდობიანობა. იმ პირთა რიცხვში, რომელიც უჩვენეს დეპუტატებმა იყვენ ცნობილი ემირ-ბოგათური (ემირ-დაჯენი), შეფი შაჰის გვარდიისა, რომელიც ყოველთვის სთესდა განხეთქილებას შაჰისა (მუზაფერ-ედ-დინის დროსაც კი) და მცხოვრებს შორის; ალიბ-უს-სულტანი (შაპშალი), შაჰის მოსიყვარულე და აღმზრდელი; ალი-ბეგი, შაჰის მეგობარი, რომელიც სარგებლობდა იმის კარგი განწყობილებით კიდევ იმ დროს, როდესაც მაჰამეტ-ალი იყო ტახტის მემკვიდრეთ და სცხოვრობდა თავრიზში. მოვიკერ-უს-სალტანე, შაჰის სიძე, რომლის შეუფერებელი საქციელი დიდი ხანია გადაიქცა ქუჩის კუთვნილებათ; ამინ-ულ-მულკი სასახლის მინისტრის შვილი, და მავახირ-ულ-მულკი. შემდეგ დიდი ფიქრისა და რყევისა შაჰმ დაუჯერა გონიერების ხმას და უთანხმოებათა უმთავრესი დამნაშავე ემირ-ბოგათური ორი დღის შემდეგ განშორდა შაჰის სასახლეს. მაგრამ მას აფიქრებდა ხალხის შურისძიება და ეშინოდა თავის ბედისა, ამისთვის მან თავი შეაფარა 21 მაისს რუსეთის მისიის შენობას. ამინ-ულ-მულკი ჩუმათ გაიქცა ქალაქს-გარეთ იფის აგარაკში, მაგრამ დანარჩენი ზემო აღნიშნული პირები ისევ განაგრძობდენ შაჰის სასახლეში ცხოვრებას. უცბათ 22-ს ჩვეულებრივ კრების მოუწვეველათ შაჰი სრულიათ მოულოდნელათ მოემზადა სატახტო ქალაქიდან გასამგზავრებლათ. მრავალ რიცხოვანი, შეიარაღებული შაჰის დამცველები, გამზადებულები წასასვლელათ ჯგუფდებოდა სასახლესთან. პირველათ ლაპარაკობდენ, რომ შაჰი მიდის თავის მამულში სახიმ-კარნიეში, რომელიც სძევს 15-ე თეირანიდან, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ შაჰი გადასახლდა თავის საზაფხულო აგარაკ ბატი-შაჰიში, რომელიც იმყოფება ისევ ქალაქის საზღვრებში. ამ მოულოდნელმა ბინის გამოცვლამ, იმის გამო, რომ ძლიერ ცოტას გაეგებოდა მისი მიზეზები და მაჰამეტ-ალის განზრახვამ, შექმნა აუარებელი ერთმანეთის მოწინააღმდეგე მითქმა-მოთქმა. თეირანის მცხოვრებს შორის გავრცელდა ხმა, რომ შაჰი მიდის რუსეთს. რუსეთის ჯარის მოშველების სათხოვნელათო. ამ ხმებმა ხალხის გაუნათლებელ წრეებში გამოიწვია უკმაყოფილება. მით უფრო, რომ ამოცანა ხდებოდა უფრო რთული—რაგიშაჰისთან დაიწყეს რეაქციონერმა ელემენტებმა ყოველ დღე შეკრება; აგროვებდენ „კაზაკთა“ ჯარს; აშკარა იყო, ემზადებოდენ რიღაცისათვის, რაც კარგს არაფერს გვპირდებოდა. კონსერვატორთა ბანაკის მოლები იწვევდენ მუსულმანებს, რომ მიშველებოდენ შაჰის და მოესპოთ მეჯლისი—ეს „შაჰის საწინააღმდეგო ბუდე რევოლიუციონერთა“. ერთ მშვენიერ დილას ემირ-ბაგათურის რაზმელთა ბრბო, შემდგარი ასი კაცისაგან, შეიპრა თეირანის ბაზარში; რაზმელთა ბრბო სროლილობდა, ახდენდა უწესოებას და ყვიროდა: „გაუმარჯოს ემირ-ბაღათურსო“. შაჰის სასახლესთან ისინი თავს დაესხენ გამვლელებს და მოჰკლეს ისინი. მაშინვე ბაზარი დაიკეტა, დაცარიელებული ქუჩების მცხოვრებნი აღელდენ, და თეირანის ჩვეულებრივი ცხოვრება სწრაფათ შესწყდა: ყველა მზათ იყო და ელოდა შეტაკებას. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, თეირანელთა ბრბო მიესწრაფებოდა მოედნისაკენ მეჯლისის წინ. ახალგაზდა სპარსელები ისხამდენ იარაღს; მოხუცებულები სწყევლიდენ შაჰის მოყვასებს. მეჯლისში

დეპუტატებმა, გაიგეს რა მომხდარი ამბები, აღელდენ, და მათი მოთხოვნილებით მეჯილისში გამოცხადდენ მინისტრები. სწრაფლ შეკითხვაზე იმათ მომხდარი ამბების შესახებ მიუგეს, რომ ჩვენ მეჯილისის წევრებზე მეტი არაფერი ვიცითო; მცხოვრებთა უზრუნველ-საყოფ გარანტიების მოთხოვნაზე იმათ მიუგეს, რომ მიღებულ იქმნება ყველა ზომები თეირანისა და მახლობელ სააგარაკო ადგილის შამდანის, სადაც საზაფხულოთ იკრიბება მოქალაქეთა მასსა, მცხოვრებთა დასაცველათ ძალადობისაგანო. მეორე დღეს მრავალ რიცხვოვანი ბრბო დილის ცხრა საათიდან შემოერტყა მეჯილისს; დადიოდა საშინელი ხმები; ყველაფერში შაჰის სდებდენ ბრალს. აღელვებული ბრბო ყველაფერს ადვილათ იჯერებდა. იმავე დღეს შაჰმ გამოსცა ვრცელი ბრძანება მყვირალა სათაურით „გზა ხსნისკენ“, რომელშიაც ბრალს სდებდა რა კონსტიტუციონალისტებს რევოლიუციონურ გამოსვლებში, აღიარებდა რა მათ სახელმწიფოებრივ მოუწყობლობის მიზეზათ, თხოულობდა მათ ალაგმვას და იწვევდა რა თავის უფლებათა დასაცავათ ყველა მართლმორწმუნე მუსულმანთ, ამბობდა, რომ მახვილით დაიცავს თავის კორონას, რომელიც მისმა წინაპრებმა იარაღით მოიპოვესო, აქავე აცხადებდა თავის თავს კონსტიტუციის მომხრეთ და მის დასამტკიცებლად იძლეოდა ფიცს, მაჰმედ-ალის ამ ბრძანებამ, რომელიც იყი გაკრული თეირანის ყველა საზოგადო სახლებსა და ქუჩებში, ვერ დაამშვიდა აღელვებული ხალხი; საქმეს არ შეეძლო გათავებულიყო მშვიდობიანათ; ყოველ შემთხვევაში მცხოვრებნი შეხვდენ ბრძანებას უნდობლათ. რეაქციონური წრეები კი არ ყოფდენ პროვოკაციას უარს, როგორც პრძოლის იარაღს, და ყოველ დროს ცდილობდენ, რომ შაჰის კონფლიქტი მიეყვანათ აშკარა შეტაკებამდე. ისიავრცელებდენ პროკლამაციებს, რომელშიდაც აქეზებდენ ხალხს, რომ არ შემოეშოთ შაჰი თეირანში თუ ის საზაფხულოთ წავა აგარაკში და ავირჩიოთ ახალი შაჰიო. შაჰის დემონსტრატული გასვლა ახსნეს მისი (შაჰის) შიშით ახალი ყუმბარების წინაშე და ბაღი-შაჰის ახლო მდებარე კვარტალთა რევოლიუციონერებისაგან განთავისუფლების სურვილით. შაჰმ, რომელმაც თითქოს გამოიჩინა დათმობა, უბრძანა დეპატიმრებინათ ალა-ედ-დოულე პოპულიარული გენერალი, რომელიც იყო ერთ დროს პროვინციაში გენერალ-გუბერნატორათ და რომლის თავმჯდომარეობით ხდებოდა კრებები აჯად-ულ-მულკისას. მასთან ერთად შაჰის ბრძანებით შეიპყრეს პრინცი ჯელიად-ედ-დინი, ზელე სულტანის შვილი და შაჰის ბიძა შვილი, რომელიც წარსული წლის დეკემბრის პოლიტიკური ამბების დროს შაჰის ბძანებით შეიარაღებული ხალხით გამოცხადდა მეჯლისის დასაცველათ; დააპატიმრეს ცნობილი მდიდარ-სარდარ-მანსური. ყველა ეს დაპატიმრებულნი იმავე დღეს გაგზავნეს ასტრაბახს, და გზაში გადასასახლებელ აღგილისაკენ ისინი შეურაცხყოფილი იქმნენ გაუთლელი სალდათებისა და მოსყიდული ბრბოს მიერ. ხელ-ახლა აღელდენ თეირანელები, ხელ ახლა გაეშურენ მეჯლისისაკენ და გაავსეს იქვე ახლოს მდგომი უზარ-მაზარი მეჩეტი სეპეს-სალარ. ალი-ედ-დოულის დაპატიმრების შემდეგ ემირ-ბაგათურმა მიატოვა თავის თავ-შესაფარი და ხელ-ახლა იწყო შაჰის სტუმრება. თეირანში შესწყდა მშვიდობიანი მიმდინარეობა ჩვეულებრივი ცხოვრებისა, და მრავალ რიცხოვანი ბრბო შეუდგა შეკრებას პარლამენტთან. აქვე გამოცხადდა ოთხმოც და ხუთამდე დეპუტაცია სხვა და სხვა ლიბერალურ-პოლიტიკურ კავშირებისა და ორგანიზაციებისაგან, რომელთაც გამოჩენილი ჰქონდათ თვალ-საჩინო ადგილზე ნიშნები წარწერებით. ყველა თხოულობდა პარლამენტისაგან, რომ ამ უკანასკნელს ენერგიულათ დაეცო გათელილი კანონი და დაუყონებლივ მოეთხოვა შაჰის მიერ დაპატიმრებულ პირთა განთავისუფლება იმის გამო, რომ ქვეყნის ძირითად კანონთა 10-ე მუხლი კატეგორიულათ ამბობს: „სისხლის სამართლის შემთხვევათა გარდა, არ შეიძლება იქმნას ვინმე დაპატიმრებული სხვა ნაირათ, რუ არ სასამართლოს თავმჯდომარის კანონთან შეთანხმებული წერილობითი იძულებით. ამ შემთხვევაში კანონი მტკიცეთ ითხოულობს, რომ დამნაშავეს დაუყონებლივ ან ოც და ოთხი საათის განმავლობაში ბირის ბირ ჩაბარდეს საბრალდებულო ოქმის კოპიო.“ შემდეგი მუხლები არ უშვებენ რა არავითარ გამონაკლს შაჰის უფლების შესახებ, ამტკიცებენ: „არავის არ შეუძლია დაახწიოს თავი იმ სამართალს, სადაც მისი საქმე სწარმოებს კანონით, და გასამართლებულ იქმნას მეორე ადგილზე“ (11-ი). „არავითარი ბრძანება დასჯისა და მისი ასრულების შესახებ არ შეიძლება გამოტეშულ იქმნეს კანონის გარეშე“ (12).

შამსი-ბეი.

(შემდეგი იქნება).

საუბარი მკითხველთან.

დიდი დრო არ არის მას აქეთ, მკითხველო, რაც ჩვენ პატარ-პატარა წრეებში ვსაუბრობდით; ხშირათ პატარ-პატარა წიგნაკებსაც ვკითხულობდით. მას შემდეგ რაღაც ათი-თორმეტი წელიწადი იქნება. ეს ჩვეულებრივათ, მცირე, ძალიან მცირე დროა იმისათვის, რომ რაიმე საყურადღებო ცვლილება მოხდეს საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ კაცის სულიერ განწყობილებაში. მარა როცა მოიგონებ და ნათლათ წარმოიდგენ ამ მცირე დროში გავლილ ცხოვრებას, მოიგონებ თუ რა იმედებით, რა ცვალებადობით, რა აღფრთოვანებით და ბრძოლის „ყიჟინით“ იყო ეს დრო მოცული; ადვილათ დამეთანხმები, რომ ამ დროს განმავლობაში დიდი რყევა-ცვალ ებადობა გამოცადა, როგორც საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, ისე ხალხისა და ჩვენმა სულიერმა ვითარებამ. ამიტომაც არის, რომ **ამ დროს მეცნიერება „რევოლიუციურ ხანას“ უწოდებს.**

დიდი და ღრმა ცვლილება განიცადე შენც ჩემო

მკითხველო! დიდი და ღრმა ცვლილება მოხდა ჩვენშიაც; ცხადია, ამიტომაც არ დარჩება უცვლელი „შენსა“ და „ჩვენ“-შორის დამოკიდებულება, ურთიერთობა და ზე-გავლენა. ჩვენ ორივენი მეტათ გავიზარდეთ ამ მცირე ხნის განმავლობაში, რომ დღეს იმ წინანდელ პატარ-პატარა წრეებში მოვთავსდეთ. დღეს „ჩვენთვის“ საჭიროა დიდი დარბაზი, მსმენელთა ზღვა! დღეს „თქვენთვის“ აუცილებელია მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, საკაცობრიო იდეალებით გატაცებული და მკვეთრი, ძლიერი სიტყვით მგზნებარე ლექტორი! **პატარა წრეში მოთავსება კი დღეს ყოვლათ შეუძლებელია!**

და მართლაც დღეს „თქვენ“ ავსებთ ეხლანდელ სახალხო აუდიტორიებს, ესწრებით და ისმენთ ყოველგვარ თემაზე წაკითხულ ლექციებს; მარა, ცხადია, ეს თქვენ ვერ დაგაკმაყოფილებთ. რატომ? რა მიზეზია? იმიტომ, გადაჭრით გეტყვით „ჩვენ“, რომ იქ ნაკლებათ ნახავთ თქვენს ლექტორს, ვერადროს ვერ მიიღებთ პასუხს იმ მწვავე და საჭირ-ბოროტო საკითხებზე, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ და ისე მძლავრათ გაღელვებთ დღეს. თქვენ იქ მიიღებთ მხოლოთ ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ცნობებს და ელემენტარულ ცოდნას, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, მარა თქვენი განსაკუთრებულ მიზნისთვის კი ნაკლები.

და მერე რათ არ გამოდიან იქ ჩვენი ლექტორები და რათ არ გვირკვევენ „საჭირბოროტო კითხვებს“? შეიძლება იკითხოს. ზოგმა გულუბრყვილო მკითხველმა. ამის პასუხათ ჩვენ ასეთ მკითხველს გამარჯვებულ რეაქციაზე მიუთითებთ მხოლოთ და ვეტყვით: აი ის ძალა, რომელიც მუდამ ცდილობს თავიდან აშოროს ფართე მასებს ცოცხალი სიტყვის გავლენა.

ზოგჯერ ტრიბუნაზე ჩვენი ლექტორიც გამოჩნდება ხოლმე, მარა იმ პირობით, რომ არ შეეხოს „საჭირბოროტო“ კითხვებს და რაც შეიძლება ბუნდოვანათ ილაპარაკოს „მაღალ მატერიაზე“.

ასეთ პირობებში, როგორც ხედავ, მკითხველო, „ზეპირ-სიტყვაობას“ ჩვენ ვერ დავჯერდებით, მას სხვა გზა, სხვა ფორმა უნდა ვამჯობინოთ ჩვენი ურთიერთობის, ჩვენი კავშირის აღსადგენათ, საჭირბოროტო კითხვებზე სასაუბროთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ **ასეთ პირობებში უკეთესი და ნაყოფიერი საშუალება, ეს მწერლობა და ჟურნალ-გაზეთობაა;** დღეს წინანდელთან შედარებით თვით მკითხველთა წრე გაცილებით ფართეა; წინათ თუ ჩვენ თვითონ გვიხდებოდა წრეებში გაზეთების შეტანა და კითხვა, დღეს თვითონ ის ეძებს გაზეთს წასაკითხავათ; წინათ თუ ჩვენში ერთი ან ორი გაზეთი ძლივსღა არსებობდა და ისიც მუქთი თანამშრომლებით, დღეს რამდენიმე გაზეთი ახერხებს არსებობას და მწერლის შრომასაც რამდენიმეთ მაინც „აჯილდოვებს“; და **ყველა ეს ააშკარავებს იმ მოვლენას, რომ „ახალი მკითხველი“ ხსენებული ხნის განმავლობაში განვითარებულა, გაზრდილა და მზათ არის ქართულ მწერლობასაც მკვიდრი ნიადაგი, შეურყეველი საფუძველი მისცეს.**

მართალია დაწერილი სიტყვა სუსტი და ნაკლებ გავლენიანია მასისთვის შედარებით ზეპირ-სიტყვასთან, მარა სამაგიეროთ მწერალს ყოველთვის მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე მსმენელი—ლექტორს რომელიმე ლექციის კითხვის დროს. მწერლის სიტყვა ყოველთვის შორს, ძალიან შორს წვდება ხოლმე!

ამასთან ერთი გარემოება, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა დღეს, შესაძლოთ ხდის ჩვენში მწერლობითი ასპარეზზე გამოსვლას.

თუ ტრიბუნაზე ეხლანდელ პირობებში მხოლოთ ზოგჯერ ჩნდება ხოლმე ჩვენი ლექტორი, მწერლობაში ის მუდმივათ და განუწყვეტლივ მოქმედებს.

ტრიბუნიდან თუ მას ნებას არ აძლევენ გარკვევით ილაპარაკოს საზოგადოებრივ კითხვებზე, მწერლობაში ის ამ მხრით ბევრათ უფრო თავისუფალია.

ტრიბუნიდან თუ მას აკრძალული აქვს „საჭირბოროტო“ და მწვავე კითხვებს შეეხოს, მწერლობაში საშუალება ეძლევა, თუ სავსებით და გამოაშკარავებით არა, საკმაო გარკვეულათ მაინც მოგვცეს პასუხი დასახელებულ საკითხზე. ამიტომაც იყო, რომ ამას წინათ თბილისის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა ბიურომ ერთხმათ გადასწყვიტა ქართული კვირეული გაზეთის გამოცემა და მით ქართველ მუშებში ცოდნა-შეგნების შეტანა.

მაშ ჩვენ დღეს, მიუხედავათ ეხლანდელი საერთო აუტანელი პირობებისა, მწვავე-ხანგრძლივი ეკონომიური კრიზისისა, შეძლება გვაქვს ამ გზით, მწერლობის საშუალებით **რამდენიმეთ მაინც** აღვადგინოთ ჩვენ შორის დამოკიდებულება, იდეიური ურთიერთობა და გავლენა, ჩვენ შეძლება გვაქვს დღეიდან განვაახლოთ იმგვარივე საუბრები, როგორც პატარ-პატერა წრეებში ამ რვაათი წლის წინათ ვეწეოდით.

ამით ჩვენ, არ იფიქროს მკითხველმა, თითქოს უარვყოფდეთ ეხლანდელ პირობებში პატარ-პატარა წრეების საჭიროების. სრულიათაც არა! ჩვენ მხოლოთ ვამბობთ, რომ **წრეების დანიშნულება ვიწროა, თუმცა დიდმნიშვნელოვანი.** წრეებში მოსიარულეთა გონებრივი მოთხოვნილება კი დღეს, წინანდელთან შედარებით, მეტათ გაფართოვებულიც არის და შეცვლილიც. და აი ჩვენ ვამტკიცებთ, რომ წრეში ამ გაფართოვებულ მოთხოვნილებას „წრის კაცი“ ვერ დაიკმაყოფილებს: ამისთვის არც საჭირო ინტელიგენტური ძალა მოიძებნება, არც ნივთიერი საშუალება იშოვება და არც დროა; და ეს მით უფრო, რომ ასეთი ფართე დანიშნულების წრეები დღეს შედარებით წინანდელთან ძალიან ბევრი შედგება; ამიტომ იძულებული ვართ წრის გარეთ ვეძიოთ ისეთი ადგილი და საშუალება, რითაც ხსენებულ მოთხოვნილებას სავსებით დავიკმაყოფილებთ. დღეს ასეთ ადგილებათ და საშუალებათ რამდენიმეთ მაინც უნდა ჩაითვალოს: „სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო“, თეატრი, სახალხო უნივერსიტეტი, წიგნი და ჟურნალ-გაზეთობა; ამათში „წრის ხალხისთვის“ ეხლანდელ პირო-

ბების მიხედვით ჩვენ საუკეთესოთ და საუმჯობესოთ ვცანით მწერლობა—წიგნი, ჟურნალი, გაზეთი.

მარა, ცხადია, ჩვენი ეხლანდელი საუბარი გამეორება არ იქნება წინანდელი საუბარისა. დღეს, როგორც ვთქვით პირობები ამ მხრითაც შეცვლილია.

ვისაც მკითხველის, თუნდა მსმენელის ყურადღება სურს სრულათ მიიპყრას და თავის „საუბარს“ სათანადო ნაყოფი გამოაღებიოს, **მან აუცილებლათ ნათლათ უნდა წარმოიდგინოს და კარგათაც უნდა იცოდეს, თუ რა ძირითადი კითხვა აქვს წამოყენებული აღნიშნულ საზოგადოებას თავისი განვითარების აღნიშნულ საფეხურებზე ანუ მომენტში და რომელ ახალ საზოგადოებრივ კლასს აქვს იგი დაკისრებული გადასაჭრელათ ცხოვრებაში.** აქედან მოსაუბრე დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ მის მკითხველს, გინდ მსმენელს, თუ ის ისტორიულათ მოწოდებულ კლასს ეკუთვნის თავის სოციალური მდგომარეობით, აუცილებლათ უმთავრესათ აინტერესებს და აღელვებს სწორეთ ის ძირითადი კითხვა, რომელიც წამოუყენებია მიმდინარე მომენტს და რომლის გარშემო ტრიალებს ყველა სხვა მისი კითხვები. ამიტომ მოსაუბრემ სწორეთ ასეთ ძირითად საკითხს უნდა მიაპყრას მთელი თავისი ყურადღება და **ძალლონე და აქედანაც უნდა დაიწყოს** თავისი საუბარი.

ამიტომაც ეხლანდელ მომენტში ჩვენი საუბარი იმ კითხვების გარკვევით არ დაიწყება, რომლითაც ჩვენ წინათ ვიწყებდით.

რითი ვიწყებდით ჩვენ წინათ? აი რითი: რა არის ღირებულება? ვინა ჰქმნის მას? ვინ ჰქმნის ზედმეტ ღირებულებას, ვის მიაქვს ის? ვინ რით ცხოვრობს?.

აი რა კითხვების გარშემო იბადებოდა სხვა დანარჩენი კითხვებიც და ჩვენც შეძლების დაგვარათ ვარკვევდითმათ.

ეხლა? ეხლა რომელი კითხვაა ის ძირითადი კითხვა, ის ღერძი, რომლის გარშემო, სხვა ყველა დანარჩენი თანამედროვე კითხვები ტრიალებს? რომლის გადაჭრა და გარკვევა ყველა მკითხველს, ყველა მსმენელს, მთელ ხალხს დღეს აღელვებს, არსებათად აინტერესებს და რომლის გადაჭრა-გატარებაზე არის დამოკიდებული არა თუ ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკური მომავალი, არამედ მთელი კაცობრიობისაც? ეს არის კითხვა განსაკუთრებულ სოციალურ „დინამიკისა“ საზოგადოთ და კითხვა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის სვე-ბედისა, კერძოთ. აი სიდან უნდა დავიწყოთ ჩვენ, აი გასარკვევი საგანი ჩვენი საუბარისა.

ვ. ევაშვილი.

საზოგადო განათლების კურსები სოფ. მასწავლებელთათვის.

II.

მაშ ვინ უნდა იზრუნოს მასწავლებელთა სულიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, ვინ უნდა დააყენოს მასწავლებელთა უმრავლესი ნაწილი, მოკლებული ყოველგვარ დახმარებას და მზრუნველობას, თვით-განვითარებასა და ცოდნათა გაფართოების ნიადაგზე? თუ გადავხედავთ დასავლეთ ევროპის კულტურულ სახელმწიფოებს და გადავათვალიერებთ მასწავლებელთა ცხოვრების ისტორიას, ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილი იქნება ჩვენთვის.

საფრანგეთში და გერმანიაში, მაგალითად, ისეთსავე და უფრო ცუდს პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი სოფლის მასწავლებელნი, ვიდრე დღეს რუსეთშია; იქაც ბიუროკრატიისა და კლერიკალიზმის კლანჭებში გმინავდა სოფლის მასწავლებელი. იქაც, როგორც დღეს რუსეთში, მასწავლებელი წარმოადგენდა გამომკითხველ მანქანას, ცოდნით უმდაბლეს საფეხურზე იდგა. მას განგებ უკეტავდენ კარებს ყველა სასწავლებლებში, რათა შკოლა გამხდარიყო ერთგული მონა, იარაღი მთავრობის ეგოისტურ მიზნების მისწრაფებათა აღსრულებისა და თვით მასწავლებელი კლერიკალიზმის ლაქიათ, ერთგულ ყმათ გაეხადა. მასწავლებლებმა დროთა ვითარების გამო შეიგნეს, რომ ასეთი სასტიკი და მძიმე უღლის კისრიდან მოშორებამოძრობა, ნივთიერი და სულიერი მოთხოვნილების გაუმჯობესობა, შეიძლება მხოლოდ კოლექტიური ბრძოლის საშვალებით, რისთვისაც მათ დაარსეს სხვა და სხვა საზოგადოებები, ასოციაციები, კავშირები, კლუბები, თვით-განვითარების და განათლების წრეები. პედაგოგიური და საზოგადო განათლების კურსები და სხ...

რომელმა მასწავლებელმა არ იცის დღეს იმ დიადი ისტორიული როლის შესახებ, რომელიც ითამაშა საფრანგეთის განათლების ინტერნაციონალურმა ლიგამ მასწავლებლის გათვითცნობიერების და შკოლის განახლების საქმეში!.. ვის არ ახსოვს ისტორიიდან ის ბრწყინვალე მომენტები, როცა გერმანიის სახალხო შკოლის მასწავლებელი სედანთან საშობლო ქვეყნის თავისუფლების დროშას აფრიალებდა.

აი სწორეთ რუსეთის სახალხო შკოლების მასწავლებლებმა უნდა მიჰბაძონ დასავლეთ ევროპის სკოლების მასწავლებლებს... თვითონ უნდა გაანძრიონ ხელები, თვითონ უნდა ამოქმედდენ, თვითონ უნდა იზრუნონ თვით-განვითარებაზე, ცოდნათა გაფართოებაზე. ამ მიზნის მიღწევა კი შეუძლიათ კოლექტიური მოქმედებით, საზოგადოებების, კასებისა და სხვა განმანათლებელი დაწესებულებათა დაარსებით. ყველა ლეგალურ საზოგადოებებს, როგორიც არიან, მაგალითად, პედაგოგიური საზოგადოება, საურთიერთო დამხმარე საზოგადოება, კასები და სხ. აქვთ უფლება გამართონ სახალხო კითხვები, პედაგოგიური და საზოგადო განათლების კურსები...

ნაგ. მოსკოვის პედაგოგიური საზოგადოება ყოველ წელიწადს მართავს სახალხო მასწავლებელთათვის კურსებს, სახალხო განათლების ლიგამ წარსული წლიდან დაიწყო სისტემატიური ხასიათი მიეცა ასეთი კურსებისათვის..... მაგრამ რა მდგომარეობაშია ამ მხრივ დღეს რუსეთი? ბევრი არსებობს ამ გვარი განმანათლებელი საზოგადოებანი? მთელ რუსეთის იმპერიაში ასეთი სხვა და სხვა გვარი და ხასიათის საზოგადოებათა რიცხვი უდრის 125. ამ რიცხვიდან 6 პედაგოგიური საზოგადოებაა, 1 პედაგოგიური კლუბი (Кіевскій педагогическій клуб.) წესდება დამტკ. 1906 წ.; 1 გალობის მასწავლებელთა კლუბი; დანარჩენი საურთიერთო დამხმარე საზოგადოებანი (Общество взаимопомощи учащихъ и учившимъ.)

საურთიერთო დამხმარე საზოგადოებები არსებობს კავკასიის შემდეგ ქალაქებსა და გუბერნიებში: ბაქო-დაღესტნის დირექციაში (1889 წლიდან); ყარსის ოლქში (წესდ. დამ. 12 ნ. 1904 წ.); ყუბანის და შავიზღვის ოლქში; სტავროპოლის დირექციაში (1900 წ.); თერგის ოლქში (1901 წ.); კავკავის ეპარქიის ჩრთილო-ოსეთში და ტფილისში... ციმბირსა და შუა-აზიაში ასეთი საზოგადოებანი არ არსებობენ: ენისეისკი, ირკუტკსში, ტობოლში, ტომსკში და აკმოლინსკში. საუბედუროთ თითქმის ყველა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებანი მოქმედობენ ძველი წესდების ფარგლებში. ამ წესდებით საზოგადოებებს არა აქვსთ უფლება თუ განსაკუთრებით ნებართვა არ მიიღეს, გამართონ ლექციები, კითხვები, მუზეუმები. ახალი წესდებით (დამტკ. 25 ოკტ. 1904 წ.) მოქმედობს მთელს რუსეთში მხოლოდ 12 საზოგადოება. განზრახვა აქვთ დანარჩენ საზოგადოებებსაც წესდების გადაკეთებისა და ამათ მოქმედების გაფართოებისა... განზრახულია აგრეთვე დაარსდეს ასეთი საზოგადოებანი ბევრ რუსეთის მაზრებში...

მაგრამ პეტრეს მოსვლამდის პავლეს ტყავი გააძვრესო, ნათქვამია. სანამდი საზოგადოებები დაარსდებოდეს, სანამდი ეს საზოგადოებები ღონისძიებას მოიპოვებდენ კურსებისა და ლექციების გასამართავათ — მანამდე რა ქნან მასწავლებლებმა?

ჩვენის აზრით, დაუყოვნებლივ საჭიროა ყველა იმ პირთ და უკვე არსებულ დაწესებულებათ, ვისაც კი მოეპოვება თვისი დანიშნულებისა და მოქალაქობრივი ვალის გაგება, საჭიროა ყველა ამათ მოიკრიბონ თვისი უკანასკნელი ძალ-ღონე და ჩვენს დედა-ქალაქში მოაწყონ სოფ. მასწავლებელთათვის საზოგადო განათლების კურსები.

ვ. ობჩელი.

მასწავლებელი.

(დასასრული*)

ქალბატონ კატოს იმდენათ ქმარი არ უყვარდა, რამდენადაც მისი სქელი ჯიბე; ის უშვილო ქალი იყო და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ხვალ როგორ გაეტარებინა დრო, სად როგორ დამტკბარიყო; ის ხან ლოტოს, ხან კარტს თამაშობდა, ხან კიდევ თეატრში დაიარებოდა და ყმაწვილ კაცებთან არშიყობით სტკბებოდა.

კატო, მისი წლოვანების მიუხედავათ, კიდევაც კოკლუცობდა; სიარულის დროს ის ძალდატანებით წელში ირხეოდა; მიხვრა-მოხვრა და „მანევრები“ ამპარტავნული ჰქონდა; თავიც მუდამ მაღლა ეჭირა და მედიდურათ გამოიცქირებოდა.

ქალბატონს ჩაის ლოდინით გული გადაელია; მდიდრულათ მორთული ოთახი მას საპყრობილეთ ეჩვენებოდა; ის გალიაში გამომწყვდეულ ჩიტსავით მოუსვენრათ გრძნობდა თავს და გასაფრენათ აქეთ-იქით აწყდებოდა. მისი ჭკვა-გონება ერთ ახალგაზდა ლამაზ კაცს დაეტყვევებინა, რომელიც მას თეატრში ელოდა. აღელვებული ის ჩქარის ნაბიჯით ბოლოთასა სცემდა; ხანგამოშვებით ტანისამოსის შკაფის წინ, რომლის კარებშიაც დიდი სარკე იყო დატანებული, ის შეჩერდებოდა, თავით-ფეხამდე მეცთასეთ გასინჯავდა თავის თავს, გაისწორებდა სახეს, ტანისამოსს და კმაყოფილი სარკეში ამპარტავნულად გატრიალ-გამოტრიალდებოდა.

მოთმინება დაკარგულმა, გაბრაზებულმა ქალბატონმა ის იყო ხელ-მეორედ ხელი გაიწოდა ჭაღზე ჩამოკიდებული ელექტრონის ზარისაკენ, რომ ადუღებული სამოვრით ხელში მოსამსახურე ქალიც შემოვიდა; მან სამოვარი მაგიდაზე დასდგა და აჩქარებით ჩაის ჭურჭელს დაუწყო მზადება.

ელენე ოცდა-ხუთი წლის იქნებოდა; ის თვალ-ტანადი ქალი იყო. თუმცა მას უბრალო ჭრელი ჩითის კაბა ეცვა, მაგრამ ბუნებრივის სიკეკლუცით და სილამაზით ქალბატონს გაცილებით სჯობდა. მისი რგვალი ბადრი პირისახე, დიდრონი შავი თვალები და ხშირი შავი წარბები პირველ შეხვედრაზევე მნახველს თავისკენ იზიდავდენ.

ელენეს შეჭმუხვნილი და მოღრუბლული შუბლის ნაკვთები აშკარათ მოწმობდენ განვლილ მწუხარებას და მრავალ ტანჯვა-წამებას, მაგრამ ეს სიმწრის ნაკვთები მაინც ვერა ჩრდილავდენ მის სიმშვენიერეს და სილამაზეს.

ამისათვის იყო, რომ ქალბატონი შურით უცქეროდა ლამაზ მოსამსახურეს, ჭირივით სძულდა ის და ყოველთვის შემთხვევას ეძებდა, რომ ის დაემცირებინა, დაეშხამნა და გული მოეკლა. კატო, როცა კი ელენეს მარტოს ჩაითავხელებდა, გესლიანათ კბენდა და სიცოცხლეს უშხამავდა.

ამას ზედ ერთოდა პარტიობა; კატო თავის-თავს ჭეშმარიტ ფედერილისტკათ სთვლიდა, თუმცა არც ფედერალისტობის და არც სხვა პარტიის ინჩიც არ გაეგებოდა; ელენე კი სოციალ-დემოკრატკა იყო, გატაცებულ სოც.-დემოკრატის ნაცოლარი; ყველა ეს ქალბატონმა თვითონ ელენესაგან ზედ-მიწევნით იცოდა.

—თქვენი სოციალისტური ბრწყინვალება ძალიან დინჯათ ირჯება; თეატრში შეიძლება კიდევაც დაკგვიან

*) იხ. ჩვენი კვალი № 7.

დე; აგერ რვა საათი სრულდება კიდეც და სამოვარი არსად არის.

—რას ვაშავებ, ქალბატონო... მოკრძალებით დაიწყო ელენემ.

—იმას აშავებ,—ხმა აუმაღლა ქალბატონმა,—რომ დროზე არაფერს აკეთებ; ფულების მოხვეჭა კი გინდა და საქმის გაკეთება კი არა. თუ კიდევ განმეორებულა ასე, როგორც მობრძანებულხარ, ისევე მიგაბრძანებ; შენისთანა მშიერისათვის ბევრისთვის მიკრავს პანღური, დააბოლავა ქალბატონმა.

—რაც შემიძლიან, ვაკეთებ და...

—მე ვიცი შენ რაც შეგიძლიან; შენ ვიღაც ქუჩის ოხრებთან, მოგონილ სოციალისტებთან შეგიძლია ხუნტრუკი და პრანჭვა-გრეხა. უნამუსოები, ვირის აბანოში რომ კაცებთან ერთად ღორ-ხბოსავით არეულან!.. დამიხედეთ მშიერ სიციალისტკას, დამშეულ სოციალისტის ნაცოლარს!!.. მწარე დაცინვით ჩაილაპარაკა და გესლიანათ ჩაიცინა ქალბატონმა.

ელენე, რომელიც ლუკმის გულისათვის აღვირ-წახსნილ ქალბტონისაგან ბევრს ითმენდა, ამ სიტყვებზე აენთო, რადგანაც მის დაწყლულებულ გულის „ავადმყოფ“ ადგილს, მის სულის საუნჯეს ტალახიანის ხელით ვერაგულად შეეხნენ. ის წელში აიმართა, აჭარხლებული სახით ქალბატონს ამაყათ მიაჩერდა და თვალი თვალში გაუყარა.

—მე თქვენ გთხოვთ უსვინდისოთ არ ილანძღებოდეთ; თქვენ ღირსიც არა ხართ ჩემი ქმარის სახელი ახსენოთ. თქვენ, სისხლის მსმელებო თქვენა, ჩახლეჩილი ხმით სთქვა სიბრაზისაგან აცრემლებულმა ელენემ, ფართუკი სახეზე მიიფარა და უმწეოდ აქვითინდა.

—ხა, ხა, ხა, ხა! ამის პასუხათ გესლიანათ გადიკისკისა ქალბატონმა კატომ; ჰაა, გაგიფრინდათ ის დრო, როდესაც გეფერებოდით და ფეხ-ქვეშ გეგებოდით?!.. ახლა ჩვენ ვიცით, საზიზღრებო, როგორ გაწრუწუნოთ, როგორ დაგსრისოთ, თქვე დამშეულებო, თქვენა!!.. შე უნამუსო, შე უსინდისო, დედა-შვილს სამადლოთ გინახავთ, ლუკმას გაჭმევთ და განა მადლობის მაგივრათ ილანძღება კიდეცა?!.. მიბრძანდით, მიბრძანდით ქუჩაზე, თქვენისთანა თავხედებისათვის საროსკიპო ადგილებია და არა ასეთი პატიოსანი ოჯახი; ხვალ შენი დუხი არ იყოს აქა; ეხლა კი მომწყდი თავიდან; მოწყვეტით სთქვა ქალბატონმა და მოახლეს კარებისაკენ მიუთითა.

—უსინდისო, გახრწნილო და გათახსირებულო დედაკაცო, ვერ გაძეხ ჩვენი სისხლის სმით, შე საზიზღარო მყვლეფავო, სიბრაზისაგან სახე დაღრეჯილმა და თვალცრემლიანმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ყელში ხიხინით მტკიცეთ წარმოსთქვა მან და უმაღლეს წერტილამდე აღშფოთებული გარეთ გამოვარდა.

ელენე ანგარიშ მიუცემლად მოწყვეტილი დაეცა თავის პატარა ოთახში რკინის საწოლ კროტზე და მწარე ქვითინი ამოუშვა. იქვე მოცუცუნე ორი წლის პატარა მიშა, მისი ერთად-ერთი შვილი მტირალ დედას გაკვირვებული უაზროთ შესცქეროდა.

როდესაც ელენემ ტირილით გული მოიოხა, ის გაჩუმდა და მწარეთ ჩაფიქრდა. ის კარგა ხანს იჯდა ისე უძრავათ გაშტერებული; შემდეგ უცბათ წამოიჭრა დაავლო ხელი ბავშს, ჩაიკრა ის გულში და დაუწყო ჟინიანი კოცნა, როგორი კოცნაც მხოლოდ გამწარებულ დედას შეუძლია.

ის მწუხარებამ მთლად შეიპყრო; მას თავი ძალზე უხურდა. შიმშილი, დამცირება, შეურაცხყოფა და ვინ იცის კიდევ რა მოელოდა მას; ამაზე ფიქრისაც კი ეშინოდა მას და ზარ-დაცემული ნუკრივით ცახცახ-კანკალებდა. ბოლოს ის, მღელვარებისაგან დაღალულ-დაქანცული, ერთბაშად მთლად მოეშვა და მკვდარივით ჩაეძინა; მის მკლავზე დაეძინა მიშასაც.

შუა-ღამე იყო, როდესაც ჩუღურეთში ვორონცოვის ძეგლთან ახლოს, X-ის ქუჩაზე ერთ სამ-სართულიან სახლის მისავალთან თეატრიდან მომავალი ეტლი გაჩერდა. ეტლიდან გადმოხტა კატო; მას გადმოჰყვა თეთრ-ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი და ულვაშებ დაწმაწნილი ახალ-გაზდა კაცი. ზარის ხმაზე მათ კარი გაუღო ელენემ, რომელსაც გულმა როგორღაც უსიამოვნოთ გაუელვა და შეჰკვნესა, როდესაც ამ საზარელ კაცს შეხედა. ეს იყო ქალბატონის ძმა, უსაქმურათ მოხეტიალე და ყოველნაირათ გარყვნილ-გათახსირებული სანდრო უნდობაძე, რომელიც დასთან ხშირათ დაიარებოდა და ელენეს ყოველთვის ამღვრეული და თვალ-წყალ-მორეული შესცქეროდა.

სანდრომ შესვლისათანავე მოურიდებლათ და უზრდელათ შესცინა ელენეს და წუწკ ძაღლსავით ტუჩები გააწკლარტუნა.

ღამის სამი საათი იქნებოდა: ყველას ეძინათ.

ეძინათ დედა-შვილსაც; მიშა თავის პატარა ხელებით დედას ყელზე საყვარლათ შემოხვეოდა და თბილად და ტკბილად ჩახუტებოდა.

არ ეძინა მხოლოდ სანდროს, რომელიც ცალკე ოთახში იწვა; ლოგინში ის მოუსვენრათ ბორგავდა და შამფურივით ტრიალებდა.

სანდრომ იდროვა; ის ფრთხილად ადგა ლოგინიდან და სულ-გატვრენილმა ერთ-ხანს ყურადღებით მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა, ოთახში ლამპა ოდნავ ბჟუტავდა; მთელ სახლშიც მყუდროება და რაღაც იდუმალი სიჩუმე იყო გამეფებული. ის ფეხის-ფრჩხილებზე შედგა, ჩუმის ნაბიჯით მაგიდიდგან აიღო სტოლის დანა, რომელიც იქ წინდაწინვე ჰქონდა დამზადებული და საცვლების ამარა შეუმჩნეველად და ფრთხილად მიადგა სამზარეულოს გვერდით ელენეს პატარა ოთახის კარს. სანდრო გაინაბა, სული გაიკმენ და დაკარების ნაპირის ჭუჭრუტანიდან ელენეს ცქერა დაუწყო. ჩაწეულ პატარა ლამპის ნახევარ სინათლეზე მან ოდნავ გაარჩია ელენე, რომელიც გულ გაღეღილი და მკლავებ ამოყრილი იწვა; ყელზე მას შვილი შემოჰქნოდა. ოთახიდან მხოლოთ ელენეს დინჯი ფშვინვა მოისმოდა.

სანდრო აენთო, კარები შიგნიდგან უბრალო რაზით იყო ჩაკეტილი; მან ფრთხილად შეასრიალა დანა

რაზის ქვევით და ნელ ნელა ფრთხილათვე ასწია ის მაღლა; სანდროს სახე სიხარულით გაუბრწყინდა.

ხმაურობაზე ელენეს გამოეღვიძა და შეშინებულის თვალებით უსირცხვო ღამის რაინდს მიაშტერდა; სანდრომ კარები ჩაკეტა.

— შემიბრალე, ელენე, შენი სიყვარულით ვგიჟდები, ვკვდები... ემუდარებოდა მას აღელვებული სანდრო და თან მისკენ მიიწევდა.

თავ-ზარ-დაცემული ელენე უცბათ შეშლილივით წამოვარდა ლოგინიდან და გაფითრებულის სახით ოთახის კუნჯულში მიინაბა.

— არ გაბედო, ხელი არ მახლო, მომშორდი თავიდან შე უსვინდისო, უსირცხვილო... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ სლოკინით ამბობდა შიშისაგან აცახცახებული ელენე და თან ხელებით იგერიებდა თავ-დამსხმელს.

სანდრო გამხეცდა; ის გაშმაგებული მიიჭრა უმწეო ტიტველა ქალთან და რაინდულათ მკლავები მაგრა მოხვია. სულ-გამწარებული ელენე მას სახეს აბდღვნიდა, აკაწრიდა და თავ-განწირვით ებრძოდა.

ხელ-ჩართულმა, უსიტყვო ბრძოლამ დიდ ხანს გასტანა; მხეცი და ადამიანი ერთმანეთს გაშმაგებულები ებრძოდენ და შეშინებული ბავშვის ტირილს ვერ ამჩნევდენ.

ქალი თანდათან იღლებოდა, სუსტდებოდა; სანდრო კი უფრო და უფრო მხეცდებოდა; მას პირში დორბლი მოსდიოდა.

ბოლოს მხეცმა სძლია ადამიანს...

აღმოსავლეთს ალიონი სცემდა, შუქ-გამოლეული ვარსკვლავები ცის კამარაზე მკრთალად ციმციმებდენ; განთიადი ახლოვდებოდა.

შალ-წამოსხმული და თმა გაწეწილი ელენე თბილათ შეხვეულ ბავშვით ხელში აჩქარებულის ნაბიჯით ვორონცოვის ხიდისაკენ მიჰქროდა და ამღვრეული და გადარეული თვალებით აქეთ-იქით იცქირებოდა.

აგერ ის ვორონცოვის ძეგლთან ტროტუარზე, კედელ-კედელ აჩრდილივით გასრიალდა, ხიშტებზე ორივ ხელებზე დაყრდნობილმა, ღამე ნატეხმა გოროდოვოებმა, რომელთაც ახლა ტკბილათა სთვლემდათ და თავებს ასკილებივით აკანჩურებდენ, ვერ შენიშნეს ელენე, რომელიც თვალის დახამხამებაზე უცბათ ხიდის შუა ადგილას გაჩნდა.

მტკვარი ჩვეულებრივათ ქვევით გაბრაზებული მიექანებოდა და დილის რიჟრაჟზე თავის აქაფებულ ზვირთებს ქვეყნის უკუღმართობა-უსამართლობაზე რაღაცას აბუტბუტებდა.

ელენე შესდგა და შეშლილი თვალები ვერცხლის ფრად ახლათ განათებულ ქალაქს ირგვლივ მიმოავლო; შემდეგ ის მძინარე შვილს გაუმაძღრათ დააშტერდა; უმანკო, პირ-ბადრი და ლამაზი მიშა დილის სუფთა ჰაერს საამურად ისუნთქავდა...

დილის ნიავმა და შვილის უზომო სიყვარულმა გაბრუებული და ჭკვა დაბნეული ელენე ერთ-ხანს გამოაფხიზლეს.

— შვილს რაღათა ვღუპავ; ბავშვმა რა დააშავა, ამის რა ბრალია; დეე, ამან იცოცხლოს, იცხოვროს ქვეყანაზე... ჩაბუტბუტებდა ის შვილს და გულში ეკონიანათ იკრავდა.

— მაგრამ არა; ეს ობლათ, უპატრონოთ დარჩება; ულმობელი ცხოვრება ამასაც არ დაინდობს, გასრესავს; გულ-ქვა ადამიანები დაურიდებლად, მხეცურათ გასტანჯავენ და აწამებენ; რისთვის უნდა იცოცხლოს ამან, იმისთვის რომ სამარის კარებამდე მწარე სამსალა ულაპოს?!. იმისთვის რომ მუდმივ წვა-დაგვაში დალიოს წუთისოფელი?!. არა... არა... და ათასჯერ არა...

დედა შვილს მხურვალეთ დაეწაფა; ის დიდხანს, დიდხანს ჰკოცნიდა მას და გულში მაგრათ იკრავდა. შემდეგ მძიმეთ შეურაცხყოფილმა, ვერაგულათ ფეხ-ქვეშ გათელილმა, ულუკმაპუროთ გარიყულმა და სიცოცხლე მოშხამულმა ელენემ საზარლად დაფეთიანებულის თვალებით ერთხელ კიდევ მიმოიხედა, მწარე დამცინავის და ზიზღით აღსავსე დაღრეჯილის სახით გიჟურათ გადიკასკასა და ბავშვიანათ ხიდიდგან თავ-დაყირა გადაეშვა.

ძირს ტყლაშანი გაისმა; დედა-შვილი ცივმა ზვირთებმა გულ-გრილათ მიიღეს; ორი ჩაკონილი არსება მტკვარმა თავის ფსკერზე გულ-გრილადვე მიიკონა და შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარაო, ჩვეულებრივათ განაგრძო თავის დაუსრულებელი ბუტბუტი.

ს. პართენაშვილი.

„ჩვენი ქვალის“ რედაქცია აცხადებს პროვინციის ხელის მომწერთა და კორესპოდენტების საყურადღებოთ, რომ ფული და წერილები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ Книжный магазинъ „Сорапань“ **Рахиль Каландадзе.** წინააღმდეგ შემთხვევაში ფული და წერილები ვერ მიაღწევს თავის მიზანს.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.